რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 7 ნოემბერი 1917 წ

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. [illegible] ორკეცი ფასი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისათვის ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ почтовый ящ. 199. Редакцiя „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскiй проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 190 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 190

ეროვნული

დამფუძნებელი კრების სადეპ. კანდიდატები

ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქიდან

რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშ. პარტიის (მენშევიკების)

სიას № 1

1) **ჟორდანია**, ნოე ნიკოლოზის ძე, პირველი სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
2) **წერეთელი**, ირაკლი გიორგის ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **ჩხეიძე**, ნიკოლოზ სიმონის ძე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯ.-კ. დეპ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **გეგეჭკორი**, ევგენი პეტრეს ძე, მესამე სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
5) **ზურაბოვი**, არშაკ გერასიმეს ძე მეორე სახელმწიფო დუმის წევრი.
6) **რამიშვილი**, ნოე ბესარიონის ძე, კავკასიის გლეხთა დეპ. საბჭ. ცენტრის თავმჯდომარე.
7) **რამიშვილი**, ისიდორე ივანეს ძე, პირველ სახელმწიფო დუმის წევრი.
8) **ჩხენკელი**, აკაკი ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, ამიერ-კავკასიის სავანგებო კომიტეტის წევრი.
9) **სკობელევი**, მათე ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი.
10) **ჯიბლაძე**, ვლადიმერ გიორგის ძე, მუშა, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
11) **გიორგაძე**, გრიგოლ ტიმოთეს ძე, ქუთაისის გუბერნიის კომისარი.
12) **სმირნოვი**, მიხეილ ნიკოლოზის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარისა და თფილისის ქალაქის თავის ამხანაგი.
13) **ბიძზადიანი**, იოსებ არტემის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
14) **ლომთათიძე**, ალექსანდრე სპირიდონის ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის წევრი.
15) **ტერ-ღაზარიანი**, ღაზარ გრიგორის ძე, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ლექტორი.
16) **მახარაძე**, გერასიმე თომას ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
17) **არსენიძე**, რაჟდენ მათეს ძე, გაზ. „ერთობის“ რედაქტორი.
18) **ბერნშტეინი**, ერიკ ადოლფის ძე, მასწავლებელი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19) **როლძე**, არტურ სტანისლავის ძე, კავკასიის გზების იურისკონსულტი.
20) **თევზაია**, ვიქტორ ვასილის ძე, ჟურნალისტი.
21) **მალხაზოვი**, აბრამ იონას ძე, ბათუმის მუშ. და ჯარ. დეპუტ. საბჭოს თავმჯდომარე.
22) **მოსხიანცი**, პეტრე ანისიმეს ძე, კავკასიის მუშ. დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
23) **გვარჯალაძე**, კონსტანტინე იაგორის ძე, ექიმი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24) **აიოლლო**, გრიგოლ გუსტავის ძე, ჟურნალისტი.
25) **ანჯაფარიძე**, გიორგი ნესტორის ძე, ნაფიცი ვექილი, ბათუმის ქალაქის საბ. ხმოსანი.
26) **კორინევა**—ჟორდანია, ნინა ივანეს ასული, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
27) **პოპანდოპულო**, ნიკოლოზ სავის ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენ. წევრი
28) **ბაბლოვი**, გიორგი ალექსის ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
29) **ფარნიევი**, ალექსანდრე ივანეს ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
30) **ტოროშელიძე**, მინადორა ეფრემის ასული, ექიმი.
31) **ჩუმაკოვი**, ანტონ პავლეს ძე, მემანქანეთა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე.
32) **პირუმოვი**, ბუდაღ ჯავადის ძე, ინჟინერი, ამიერ კავკ. რკ. გზ. ცენტ. კომიტ. წევრი.
33) **ერაძე**, გიორგი პავლეს ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტ. თავჯ. ამხანაგი.
34) **მანივიჩი**, რუვიმი ხიმიას ძე, თფილისის რკინის გზის დეპოს ზეინკალი.
35) **ზურაბიანი**, ელეთი დანიელის ასული, მასწავლებელი, თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
36) **კოვალიოვი**, მიხეილ ანდრიას ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

დედა დარიკო, მეუღლე ნინა და ძმა გრიგოლი შარიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, ს. ბარდებში წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულის, სამურზაყანოს ყოფილ კომისარის

კონსტანტინე გიორგის ძე შარიას

სულის მოსახსენებლად.

ღრმათ დამწუხრებული დედა ქვრივი ეფროსინე მერაბის ასული ქუთათელაძისა შვილებითურთ: ვალიკო, რაფიელი, პეტრე და აგრაფინათი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელი შვილისა

მარიამ (ცუცა) სამსონის ასული ქუთათელაძის

ორმოცი დღის გარდაცვალების თავზე, ცხედარს წაასვენებენ დღეს, 7 ნოემბერს ქ. თბილისიდან ქ. ხონში.

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგები: მარო წიწიშვილი, ელო კაკაბაძე, ნინა დარსაველიძე აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს რომ, დაუვიწყარ ამხანაგის

მარიამ (ცუცა) სამსონის ასულის ქუთათელაძის

ორმოცი დღის გარდაცვალების თავზე ცხედარს წაასვენებენ ქ. თფილისიდან ქ. ხონში, დღეს სამშაბათს 7 ნოემბერს.

ვისაც მოეპოვება

კატა-ბალახის ძირი

ვთხოვთ მოიტანოს **ზოლოტნიცკის აფთიაქში**

ავლაბარი ვინის პოდიომი № 28 ყოველ დღე.

„ჭეშმარიტი სოციალისტები“

რუსეთის „ჭეშმარიტი სოციალისტები“ ლენინისა და ტროცკის მეთაურობით ცამეტი დღეა რაც პეტროგრადში ბატონობენ და თავიანთი თავი სახელმწიფოს ბატონ-პატრონათ გამოაცხადეს. მათ ჯარის ერთი ნაწილის დახმარებით ცენტრის დროებითი მთავრობა გადააყენეს და ასეთი საშუალებით ცდილობენ სხვა პოლიტიკურ ცენტრებშიაც გაბატონდნენ. ჯერ ჯერობით მათ ხელშია, თუ არ ვცდებით, კიევი, ბაქო და სხვა ზოგიერთი ქალაქები. ეს არის და ეს. სხვაგან მათი ბატონობა მეტის-მეტად პრობლემატიურია და მომავალიც ასეთია.

ყველგან,—სადაც კი ბლანკისტური ჯგუფები თავიანთი იდეის გამარჯვებას ითვლიან, და ჯარის აჯანყების მეოხებით ახდენენ, მუდამ მათი ბატონობა ხანმოკლეა და ფართო მასას თავისაკენ ვერ იზიდავენ. როგორც არ უნდა იტრაბახონ, რითიც უნდა მათ თავიანთ თავს „ჭეშმარიტი სოციალისტები“ არ უწოდონ, მაინც მათ დროებითი ბატონობას ხანგრძლივი მომავალი არ ექნება.

პარიზის კომუნამ რამდენიმე თვე იბატონა, ხოლო ჩვენ არ გვგონია, რომ ლენინისა და ტროცკის მიმდევრებთა „სახელმწიფოებრივი“ ბატონობა ერთი თვე მაინც გაგრძელდეს.

არსებულ რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ პირობებში ლენინელებისა და ტროცკების ბატონობა უტოპიაა. უტოპია,—ვინაიდან ეს უპასუხისმგებლო ჯგუფი რეალურ სინამდვილეს, რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარებას, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას არავითარ ანგარიშს არ უწევენ და ამ თავიდანვე პროლეტარიატის დიქტატურას აცხადებენ.

დიდი ხანია ლენინის მიმდევრები მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგს მოშორდნენ და მთელი თავიანთი თეორია პრაქტიკით ანარქისტ-ბლანკისტების ბანაკში გადაბარგდნენ. ობიექტიური პირობების უარყოფა, სინამდვილესთან დაშორება,—აი რა ახასიათებს რუსეთის უპასუხისმგებლო ოპოზიციას. უკანასკნელი გარემოება კი, ერთად ერთი გზაა, რომელზედაც აღმოცენებულია მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული პარტია და რომელზედაც მაგრდება საზოგადოებრივი ძალების პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა.

მაგრამ ლენინი და ტროცკი ამას არ დაგიდევენ, ობიექტიურ პირობებს ანგარიშში არ იღებენ და ინტერ-ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თეორიულს შეხედულებას და ისტორიულად შემუშავებულ ტაქტიკას სავსებით უარყოფენ. და როცა მათ მთელი ქვეყნის სოციალ-დემოკრატები და მათი საუკეთესო ხელმძღვანელები არა მარქსისტობას უკიჟინებენ, ისინი გაბედულად გამოდიან და ყველა იმათ, ვინც მათ ბლანკისტურ ან ანარქისტულ ტაქტიკას არ იზიარებს, წვრილ ბურჟუაზიულ პარტიას უწოდებენ და თავიანთ თავს კი „ჭეშმარიტ სოციალისტებს“.

ასეთია ანარქისტებისა და ბლანკისტების აზროვნების მეთოდი, მათი უტოპიური თვალსაზრისი. აქ გვაგონდება ანარქისტ ბაკუნინის პოლემიკა კარლ მარქსთან, სადაც თავგადებული ანარქისტი კარლ მარქს წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგს უწოდებდა და ბისმარკის კუდათ სთვლიდა. გვაგონდება აგრეთვე 1848 წლის გერმანიის ზოგიერთა რევოლუციონერების პოლიტიკური მოქმედება, რომლებიც თავიანთ თავს ჭეშმარიტ სოციალისტებათ სთვლიდენ და სხვას-კი რეაქციონერებად. ისიც-კი გვაგონდება, თუ კარლ მარქსი ზევით დასახელებულ „ჭეშმარიტს სოციალისტებს“ როგორ კიცხავდა და როგორ მასხარად იგდებდა. მაგრამ რუსეთის „ჭეშმარიტ სოციალისტებმა“ ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს, და ლენინისა და ზინოვიევის პირით სოციალისტური რევოლუცია გამოაცხადეს და მით პროლეტარიატის დიქტატურა შესრულებულ ფაქტად მიიჩნიეს.

მათ საწარმოო ძალთა განვითარება, ობიექტიური პირობები არ აინტერესებთ და უმთავრეს ყურადღებას ისინი საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას აქცევენ. ეს მათ ხელში მოხერხებულ იარაღის როლს თამაშობს და ყველას ამაზე უთითებენ.

ჯერ ისევ 1906 წელს ახლანდელმა გმირმა ტროცკიმ ყველა მარქსისტებს განუცხადა, რომ ჩვენთვის ობიექტიური პირობები, საწარმოო ძალთა განვითარება მეორე ხარისხოვანია,—ჩვენთვის უმთავრესათ რევოლუციონური ძალთა განწყობილებაა დიდ მნიშვნელოვანი და რევოლუციის ხანაში უკანასკნელი გარემოება ყველაფერია. 1906 წ. ტროცკი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოთ ლაპარაკობს და ისიც ამას აცხადებდა, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. ტროცკი თავისი უტოპიით დამარცხდა და პროლეტარიატის დიქტატურის მაგიერ ხანგრძლივი რეაქცია მოგვევლინა.

მხოლოდ დღეს ტროცკი—ლენინისა და კომპანიის უტოპია უფრო გაბედულია და ისინი წუთიერი გამარჯვების მეოხებით სოციალისტურ რევოლუციას აცხადებენ. ისინი ზოგიერთა ქალაქებში ჯარის დახმარებით გაბატონებულან და დეკრეტებს დეკრეტებზე სცემენ, მაგრამ მათი დეკრეტები საერთო მასაში, რუსეთის რევოლუციონურ კლასებში არავითარ გამოხმაურებას არ პოულობს. მათი დაპირება მხოლოდ დაპირებათ რჩება და მეტი არაფერი. ასეთია უტოპისტებისა და „ჭეშმარიტ სოციალისტების“ ბრძოლის იარაღი, მათი უნიადაგობის ლოღიკა. თვით საზოგადოებრივი რევოლუციონური ძალთა განწყობილება, რომელიც მათ უტოპიურ ფანტაზიას საშუალებას აძლევს რუსეთის არსებული რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციათ გამოაცხადონ, მათ წინააღმდეგ ლაპარაკობს. თვალ გადაუწვდენელ რუსეთის იმპერიაზე მცხოვრები დიდი უმრავლესობა ლენინის მიმდევრათ არ აცხადებს თავს და უკანასკნელები გამოთიშულები რჩებიან. შორს არ არის ის დრო, როცა ლენინისა და მისი კომპანიის „ჭეშმარიტი სოციალისტური“ შეხედულება დაინგრევა და ფართო დემოკრატია შეგნებულ პროლეტარიატის მეთაურობით, ჩვეულებრივი გზით წავა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლენინმა და მისმა მიმდევრებმა პროლეტარიატს წინსვლელობის გზა გაუძნელეს და კონტრ რევოლუციონერები უფრო მეტად გააძლიერეს. მაგრამ რევოლუციონური კლასი ლენინელებთან ერთად კონტრ რევოლუციონერებს სძლევს და დემოკრატიულ რესპუბლიკას დაამყარებს.

მწარე გაკვეთილი

მარქს-ენგელსის გენიოსობამ ჩაუყარა საძირკველი მეცნიერულ სოციალიზმს, სოციალიზმი მათის მეოხებით სტოვებს მოძღვრების ხასიათს და ხდება მეცნიერულ დებულებათ. მარქს-ენგელსამდეც არსებობდა სოციალისტური მოძღვრება, სოციალისტური მოძრაობა, მარქსამდეც არა ერთხელ უცდიათ უსამართლობის მოსპობა და ბრწყინვალე სამართლიან ურთიერთობის დამყარება, არა ერთი და ორი მსხვერპლი შეუწირავთ ამისთვის.

რა ამოძრავებდა ამ ჯურის სოციალისტებს, ან როგორც მარქსმა უწოდა, უტოპისტ სოციალისტებს? სიძულვილი არსებულ უსამართლობისადმი, სურვილი სამართლიანობის დამყარებისა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ თუ კი ისინი ხალხისთვის სასარგებლო ნაბიჯს გადადგამდენ, ამათ ნაბიჯს ყველანი არ დაუკრავდენ ტაშს. ასე გასინჯეთ თვით მდიდრებს და მჩაგვრელებსაც კი მიმართავდენ უტოპისტ-სოციალისტები, რომ მათ ყვლეფაზე და ჩაგვრაზე ხელი აეღოთ.

მარქსმა თვალსაჩინოთ გახადა ამ ჯურის სოციალისტების უნიადაგობა, მან დაამტკიცა, რომ ყოველი ახალი წყობილება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ძველი წყობილება დაჰკარგავს საარსებო ძალას და როცა მომზადდება ნიადაგი ახალ წყობილების დასამყარებლათ.

მიუხედავათ ამ მეცნიერულ დასაბუთებისა, მაინც გასავალი ჰქონდა თავის დროზე ეგრეთ წოდებულ ბლანკიზმს, მიმართულებას, რომელიც ანგარიშს არ უწევდა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას, და შეთქმულობის შეწყობით მთავრობის ხელში ჩაგდებით ფიქრობდა ახალი წყობილების განხორციელებას.

ისტორიამ სასტიკი მსჯავრი გამოიტანა ბლანკისტების მოქმედების წინააღმდეგ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთ შეთქმულობას ნაყოფი მოეტანოს, პირიქით ასეთ შეთქმულობას მუდამ სისხლის ღვრა და მუშათა ორგანიზაციების დარღვევა რეაქცია მოყოლია. ამიტომ არც ერთს სერიოზულ სოციალისტურ პარტიას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს არსებულ პირობებს, არ დაეყრდნოს ხალხის ფართო მასას, თუ არ სურს, რომ ჰაერში იქნას გამოკიდებული.

კერენსკის მთავრობის ნანგრევებზე ლენინის „მთავრობა“ წარმოიშვა. ჩვენ არ ვიზიარებთ იმ აზრს, თითქოს კერენსკის მთავრობა, რაკი ის რევოლუციონური იყო, ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. რევოლუცია ჩვენ დამთავრებულად არ მიგვაჩნია და ცხადია, კერენსკის მთავრობას უნდა მოყოლოდა ახალი მთავრობა, ქვეყნის სულის კვეთების გამომხატველი, მთავრობა ერთგვარი, დემოკრატიის შეთანხმებაზე დამყარებული ცენზიან ელემენტებს გარეშე.

მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით და ვართ ავანტიურის, ისეთის ნაბიჯების გადადგმის, რომელიც რევოლუციონურ ძალების გათიშვას გამოიწვევდა, მუშათა კლასს განამარტოვებდა და ამით მუშათა კლასსაც დაღუპავდა და მასთან ერთად მთელს რევოლუციას დაასამარებდა.

მაგრამ ბოლშევიკები ამას არ დაგიდევენ. მათ დაივიწყეს, რომ დღეს ხდება არა სოციალისტური რევოლუცია, ე. ი. დღეს ნიადაგი არ აქვს ისეთ რევოლუციას, რომელიც მიმართულია არსებულ წყობილების საფუძვლის, კერძო საკუთრების მოსპობისაკენ. ეს ჩვენი მოსაზრება, რომელიც ახალს არაფერს შეიცავს და გამოხატავს მხოლოდ მარქსიზმის დებულებას, თვით ბოლშევიკებზე გამართლდა, ობიექტიური პირობები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ლენინ-ტროცკის სურვილები, მათი სუბიექტიური ფილოსოფია. თუმცა მათ ქვეყანას ამცნეს სოციალისტური გარდაქმნის დადგომა და შეადგინეს სოციალისტური მთავრობა, მაგრამ ამ სოციალისტურ მთავრობას არც ერთი სოციალისტური ზომა არ განუხორციელებია. ზავის და მიწის დარიგების დეკრეტები ცარიელი ფრაზებია, მაგრამ აქ სოციალისტური მაინც არაფერია. არც მიწების ჩამორთმევაა სოციალისტური ზომა, რადგან კერძო საკუთრება მიწაზე ხელშეუხებელი რჩება.

ამიტომ არის, რომ ბოლშევიკების „სოციალიზმს“ არავინ შეუშინებია, შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი სოციალიზმი შეუმჩნეველი დარჩა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლშევიკების დეკრეტს წარმოებაზე კონტროლის დაწესების შესახებ, ბოლშევიკების დეკრეტებში არაფერი სოციალისტური არ არის. და ეს მათი კონტროლიც მალე განუხორციელებელი დარჩება თავის მთავარი შინაარსით.

ვიმეორებთ ჩვენ არ ვხედავთ საფრთხეს ბოლშევიკების „სოციალიზმში“, რადგან ობიექტიური პირობები თავისთავათ აღდგინებენ მათ ხელს სოციალისტურ ზომების განხორციელებაზე, რის საბუთს ნათლად იძლევა ბოლშევიკების მოქმედება.

ბოლშევიკების საფრთხეს ჩვენ სხვა მხრიდან ვხედავთ.

მათ პირველებმა მოგვცეს მაგალითი დემოკრატიულ დაწესებულებების დათრგუნვის. მოიგონეთ რა აურზაური გამოიწვია კორნილოვის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კერენსკის ბრძანებამ რევოლუციონურ ორგანიზაციების დაშლის შესახებ. დღეს კი ბოლშევიკებმა ტლანქი ძალით გარეკეს რესპუბლიკის საბჭო და გარეკით დაემუქრა პეტროგრადის ქალაქის თვითმართველობას.

ჩვენებური ბოლშევიკები კი ლანძღვით უმასპინძლდებიან ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს და თვით მუშათა, გლეხთა და სალდათთა ცენტრებს.

დაუმატეთ ამას დამფუძნებელ კრების ჩაშლისთვის ხელის შეწყობა, თუმცა ბოლშევიკებმა სიტყვით გამოაცხადეს მისი დანიშნულ დროზე მოწვევა და საქმის არევ-დარევა. აქ არის ბოლშევიკების ავანტიურის ნამდვილი საფრთხე.

გარდა ამისა, ბოლშევიკებმა გვერდი აუქციეს ხალხის ფართო მასას და უმთავრესათ ხიშტებს დაეყრდნენ. მარტო ხიშტი კი სანდო არ არის, რაც სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ჯარმა, რომელიც შეიძლება ითქვას პირდაპირ აღმერთებდა კერენსკის დღეს ამ უკანასკნელს ზურგი შეაქცია.

შეიძლება ითქვას, რომ ხალხის ფართო მასა ბოლშევიკებს არ მიჰყვება. ლენინის მთავრობამ მუშაობა ვერ შესძლო, რადგან მას ყველა ბოიკოტით შეხვდა. ლენინის მთავრობა დაეცემა, მას მოსპობს ის წინააღმდეგობათა ქსელი, რომელშიც ის თავისთავად გაებლართა.

მაგრამ ჭეშმარიტი სოციალისტი და დემოკრატი ვერ დაკმაყოფილდება ლენინის დაცემის სურვილით. ლენინის „მთავრობამ“ ერთიანათ არეულობის ცხოვრება და არსებული ანარქია კიდევ უფრო გააძლიერა. ჩვენი ვალია ბოლო მოვუღოთ ამ არევ დარევას.

ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა, დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევა—აი რა იხსნის ქვეყანას და ჩვენი ყურადღებაც აქეთკენ უნდა იქნას მიმართული.

პროვინციელ ორგანიზაციებისადმი

არჩევნები დამფუძნებელ კრებისა მოახლოვებულია, სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი. მთელი შეგნებული დემოკრატიის ყურადღება იქითკენ უნდა იქნეს მიქცეული, რომ დამფუძნებელი კრება დანიშნულ დროზე იქნეს მოწვეული, რადგან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია დაამშვიდოს ქვეყანა, მხოლოდ მას შეუძლია შექმნას მთავრობა მთელი ხალხის ნდობით აღჭურვილი და ამ გზით დაამყაროს წესრიგი, მოსპოს ის ანარქია, არეულ-დარევა, რომელიც ქვეყანას ამოვლებას უქადის. იმ დიდ დაბრკოლებას გარდა, რომელიც ბოლშევიკების უდროვო დროს აჯანყებამ და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამ შექმნა, სხვა მრავალი დაბრკოლებები შეიძლება გაჩნდეს. მაგრამ შეგნებული დემოკრატიის ვალია ყველა ეს დაბრკოლებები გადალახოს. ერთ ასეთ დაბრკოლებათ შეიძლება გახდეს საარჩევნო ბიულეტენების უქონლობა, სიმცირე.

ყველა პარტიის საარჩევნო ბიულეტენს ბეჭდავს საარჩევნო ცენტრალური კომისია და ყველა პარტია შემდეგ თითონ გზავნის. შესაძლებელია რომელიმე კუთხეში დროზე ვერ მიიღოს ბიულეტენები ან მიღებული რიცხვი საკმაო არ იქნეს. როგორ უნდა მოვიქცეთ? უნდა ავიღოთ ქაღალდი და ისეთივე ზომის, როგორიც დაბეჭდილია, თითონ უნდა დავამზადოთ, გადავწეროთ ხელით, ან სადაც სტამბაა გადავაბეჭდინოთ. პრაქტიკულად ეს ადვილი მოსახერხებელიცაა, რადგან არჩევნები მთელი შვიდი დღის განმავლობაში სწარმოებს, 12 ნოემბრიდან ცხრამეტამდე.

შესაძლებელია ყველგან არ არსებობდეს საარჩევნო კომისიები, ან უკვე შედგენილი კომისიები დაშლილნი აღმოჩნდენ. ამ შემთხვევაში უნდა შევადგინოთ ახალი კომისიები.

არჩევნები, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, შვიდ დღეს გრძელდება. შესაძლებელია პირველ დღესვე მოთავდეს არჩევნები რომელიმე სოფელში. შეიძლება თუ არა ყუთის აღება და არჩევნების შეწყვეტა?

წესდების ძალით არ შეიძლება. ამიტომ ამ დაბრკოლებას ასე უნდა მოუაროთ. საარჩევნო კომისია რამდენიმე საათით მაინც უნდა იჯდეს ყუთთან, ხოლო საათები გამოცხადებული უნდა იქნეს. თავის თავად ცხადია არჩევნების პირველ დღეს მთელი დღე უნდა გავატაროთ ყუთებთან, შემდეგ დღეებში საათები შევამოკლოთ საჭიროების მიხედვით. საზოგადოთ ისე უნდა მოიქცეთ, რომ არც ერთი დღეს არ უნდა შესწყვიტოთ არჩევნების წარმოება აღნიშნულ შვიდი დღის განმავლობაში.

შეიძლება აგრეთვე გაუგებრობა დაბადოს ყუთის უქონლობამ. არ უნდა შეუშინდეთ ამას. გააკეთეთ სულ უბრალო ყუთი, ხოლო თავი დაბეჭდეთ კომისიის თანადასწრებით, რომ შიგ ჩაყრილი არ აღმოჩნდეს ბიულეტენები, სათანადო ოქმი შეადგინეთ.

ერთი სიტყვით ორგანიზაციები მოვალენი არიან დაეხმარონ სოფლებს.

გახსოვდეთ, რომ პარტიამ აურაცხელი ფული და ენერგია დახარჯა არჩევნებზე და მისი ჩაშლა დიდი ზარალი იქნება.

პეტროგრადის ამბები

5 ნოემბერს მთავარ ბანაკიდან თფილისში შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„რევოლიუციისა და სამშობლოს დამცველ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს, ყველა ფრონტის სამხედრო კომიტეტებს, ყველა ფლოტის კომიტეტებს, ყველა უფროსებს, ყველა კომისარებს, პეტროგრადში, მოსკოვში, რკინის გზათა ცენტრალურ კომიტეტს, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირს, პეტროგრადის პრესის წარმომადგენელთა ბიუროს და ყველა ტელეფონის სადგურებს, ადგილობრივ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. საერთო სამხედრო კომიტეტის მიერ მთავარ სადგომში მოწვეული ფრონტის წარმომადგენელთა თათბირი აცხადებს, რომ ფქვილი, საქონლის საკვები და სხვა გვარი სურსათი ფრონტზე თავდება და თუ მიწოდება შეწყდა, მაშინ ფრონტზე დაიწყება შიმშილობა მთელი თავისი საშინელი შედეგებით. ოქტომბერის გატარება ფრონტმა როგორც იყო შესძლო უმთავრესათ თავისი შემონახული სურსათით და მეტად მცირე ადგილობრივ საშუალებებით, ზურგიდან სურსათის მიწოდება სულ უმნიშვნელო იყო. ახლა არსებობის ეს საშუალებანიც გამოილია. დიდი ვაივაგლახის შემდეგ ფრონტის წარმომადგენლებმა შესძლეს დაემზადებინათ მოსკოვში და კაზანში თბილი ტანისამოსი, მაგრამ დაწყებულმა ძმათა შორის ომმა შეაჩერა სატახტო ქალაქის ცხოვრება და არ არის იმედი, ელირსებიან თუ არა სანგრებში მცხოვრებნი თბილ ტანისამოსს. დღევანდელი ამბები საბოლოოთ სპობენ სამხედრო კომიტეტების მიერ დიდი ვაი-ვაგლახით დაწყებულ მუშაობას, რომელიც მიმართული იყო ჯარის სურსათით უზრუნველყოფისაკენ. მეათე დღეა, რაც ქვეყანა ანარქიას განიცდის, სახელმწიფოებრივი მექანიზმი ჩერდება, საზოგადოებრივი წესრიგის უკანასკნელი ნიშნებიც კი ქრებიან, ეკონომიური ცხოვრება ირღვევა, ცარიელი ვაგონები უწეს-რიგოთ მავალ ეშალონებს უნდება და ამით შეუძლებელი ხდება ფრონტისათვის რაიმეს მიწოდება, ბევრს საქონელს გზაში იტაცებენ, ბევრი ფუჭდება. ჩვენ, ყველა ფრონტების სურსათით უზრუნველყოფის ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც თავის მუშაობის დროს პარტიათა გარეშე ვდგევართ, ვეკითხებით ყველა იმათ, ვისაც კრახისაკენ მიჰყავს ფრონტი, რა პასუხს მისცემენ ისინი მასსას, რომელიც დგას შიმშილის და სხვა ქვეყნების მიერ ეკონომიურათ დამონავებისა და გაველურების საშინელების წინაშე? ამ საშინელ წუთში, დეე გაისმას მასსის მძლავრი ხმა, რომელიც მოითხოვს რევოლიუციონური წეს რიგის დაუყონებლივ აღდგენას და ანარქიის შეწყვეტას. რადგანაც არა გვაქვს საშუალება შევასრულოთ ამომრჩეველთა მიერ დაკისრებული მოვალეობა ჩვენ ვაცხადებთ, თუ დაუყონებლივ არ დაედვა საზღვარი ანარქიასა და სამოქალაქო ომს, ჩვენ წავალთ საშინელ უბედურებაში უძლურნი და თავიდან მოვიშორებთ ისტორიის წინაშე მშიერ და განადგურებულ ჯარის დაღუპვაში ყოველგვარ პასუხისმგებლობას. მოითხოვეთ სამოქალაქო ომის შეჩერება. ყველა ფრონტის სურსათით უზრუნველყოფის პირველი თათბირი. მთავარ ბანაკის საერთო სამხედრო კომიტეტი".

ლაპარაკი დონსკოის და ჩერნოვის შორის პირდაპირი მავთულით 5 ნოემბერს.

დონსკოის შეკითხვაზე მდგომარეობის შესახებ ჩერნოვი უპასუხებს: მდგომარეობა ასეთია, რომ ბოლშევიკთა ახალი მთავრობა დაირღვა. მთავრობიდან გავიდა ლუნაჩარსკი, ნოგინი, რიკოვი, შლიაპკინი, რიაზანოვი, თეოდოროვიჩი, დერბიშევი და მილიუტინი. ბოლშევიკთა ცენტრალურ კომიტეტიდან გავიდენ კამენევი და ზინოვიევი. ლენინმა და ტროცკიმ მცირე ხმის უმეტესობით გაიმარჯვეს. რადგან ტერორს დაადგენ, მათთან შეთანხმებაზე მოლაპარაკება შესწყვიტეს, მოლაპარაკება აქვთ მათგან ჩამოშორებულებთან. საჭიროა დაუყოვნებლივ შესდგეს ავტორიტეტული პოლიტიკური ცენტრი, რომლის ხელშიაც იქნება რეალური ძალა, რომელსაც ანგარიშს გაუწევს ყველა, პლატფორმაა ერთგვარი დემოკრატიული მთავრობა სახალხო სოციალისტებიდან დაწყებული ბოლშევიკებამდე, იმათ გარდა, რომლებიც პირადათ დანაშაულნი არიან ამ ავანტიურაში და ძალადობაში. დონსკოიმ აცნობა ჩერნოვს, რომ დუხონინის დეპეშამ კერენსკის ჯარის მიერ პეტროგრადის აღების შესახებ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ის მართალი არ გამოდგა.

დონსკოის და გოცის შორის მოლაპარაკება.

დონსკოის შეკითხვაზე მდგომარეობის შესახებ გოცმა უპასუხა: „პეტროგრადში ანარქია აღარ არის. მე ვიყავი პეტროგრადში საერთო არმიის კომიტეტისაგან საბჭოთა ყრილობაზე და მენშევიკებთან ერთად დავსტოვე ყრილობა.

პეტროგრადში დაანგრიეს საიუნკრო სასწავლებლები, ტელეგრაფის სადგურთან ბრძოლა იყო, ქუჩებშიაც აქა იქ ისროდენ, მაგრამ ანარქია არ არის. ძარცვა-გლეჯის და დარბევის წინააღმდეგ ბოლშევიკები სასტიკ ზომებს ღებულობენ. მოსკოვში საშინელი დარბევა მოხდა, დაზარალდენ წმინდა ადგილები, ეხლა სიწყნარეა. დონსკოის შეკითხვაზე—მართალია თუ არა ცნობა, რომ ბანაკი დაემორჩილა რადას, გოცმა უპასუხა, რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. პეტროგრადში ყაზახებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს, რადგან არ ჰქონდა ორგანიზაციულათ შეკავშირებულ დემოკრატიის წინააღმდეგ წასვლა. დონის ყაზახებმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ ერთგვარ სამინისტროს, ხოლო უკეთუ იქ ბოლშევიკები შევიდენ, მთავრობის წინააღმდეგი იქნებიან.

ბაქოდან ბეგზადინი დეპეშით აცნობებს ამიერ-კავკასიის ცენტრს: „ქალაქში სიწყნარეა; გამოსვლა არ არის მოსალოდნელი. მოლაპარაკება გრძელდება".

პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან 5 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შემდეგი ცნობა მოვიდა.

ლაპარაკობს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კომისარი:

ეხლა პეტროგრადი ბოლშევიკების ხელშია. არავითარი მთავრობა არ არის, თითქმის ყველა სამინისტროებში გაფიცვაა. ფოსტა-ტელეგრაფის ც. კ. დადგენილებით ვმუშაობთ ნეიტრალურათ, რომ ანარქია არ გაძლიერდეს. ძველი დროებითი მთავრობის წევრნი არა სჩანან. სად იმყოფება კერენსკი, არ იციან. ფრონტიდან არავითარი ცნობა არ არის. სოციალისტურ პარტიებში რასკოლი მოხდა: ამ კვირაში უეჭველათ მოხდება შეთანხმება.

ლაპარაკობს ტელეგრაფის ბოლშევიკთა კომისარი.

პეტროგრადში სიწყნარეა. ეხლავე პასუხს ვერ მოგცემ, ხვალ ყველაფერი გამოირკვევა და ცირკულიარულათ გაცნობებთ. მთავრობის შემადგენლობის შესახებ ცნობა ეხლა საჭირო არ არის. ფრონტთან დამოკიდებულება გვაქვს.

ჩერნოვის დეპეშა მთავარ-ბანაკიდან.

გატყობინებთ დღევანდელ ახალ ამბებს: გუშინ შეთანხმება არ მოხდა, რადგან თათბირზე არ მოვიდენ ბოლშევიკთა ც. კომიტეტის და საბჭოს წარმომადგენელნი. ვცდილობთ ღამის ორ საათამდე და რადგან სმოლნი ინსტიტუტიდან არა სანუგეშო ცნობა მივიღეთ პარტიის ც. კ. წევრებმა და ჩვენ გავმართეთ კრება და გადავწყვიტეთ ბოლშევიკების დადგენილების გამო მივიღოთ საჭირო ზომები. სმოლნიდან ასეთი ამბავი გადმოგვცეს: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში წამოაყენეს საკითხი ტერორის და ბეჭდვითი სიტყვის დევნის შესახებ, ლენინი უმაგალითო დემაგოგიურ სიტყვით ამტკიცებდა, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება წვრილ-ბურჟუაზიული მოთხოვნაა და რაკი ეს მუშათა მოძრაობა მისი აზრით ნამდვილი სოციალისტური რევოლიუციის დასაწყისია, საჭიროთ სცნობს ტერორს. მცირე უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლიუცია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების გაუქმების შესახებ, წინააღმდეგი იყვნენ ს.-რ. და მემარცხ. ბოლშ. ტერორის სისტემის და დეკრეტების გამოცემის ცენ. კომ. გარდა თანახმანი არ იყვნენ ახალ მთავრობის რამდენიმე კომისარი და თანამდებობას თავი დაანებეს. გადადგენ რიკოვი (შინაგ. საქ. მინისტრი), ფედოროვიჩი (სასურსათო საქ.), შლიაპკინი (შრომ.) პროტესტს მხარი დაუჭირეს რიაზანოვმა, დერბიშევმა, არბუზოვმა, იურენევმა (წით. გვარ.) ფედოროვმა და ლარინმა. ამან დიდი არევ-დარევა გამოიწვია ბოლშევიკებში. კენჭი უყარეს ლენინის და ტროცკის ნდობის გამოცხადების საკითხს, გავიდა ერთი ხმით. ლენინმა მოითხოვა პირადათ ხმის მიცემა, ის ტერორით დაემუქრა ყველას და 29 ხმით წინააღმდეგ 28 ხმისა მას ნდობა გამოუცხადეს. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება; რადგან მემარჯვენე ბოლშევიკთა ბელადები, როგორც რიაზანოვი, კამენევი და ლაზოვსკი სრულიად არ ეთანხმებიან ლენინს. პეტროგრადის მუშებიც პროტესტს აცხადებენ. ობუხოვის, ბალტიის, ლეისნერის და სხვა ქარხნების მუშებმა გუშინ თათბირზე განაცხადეს, რომ ისინი ძალას დაატანენ ბოლშევიკებს დათმობის გზას დაადგენ და მიიღონ სრულიად რუსეთის რკ. გზ. კავშირის პროგრამა. მუშათა ასეთ დადგენილებას ანგარიში გაუწია რა დემოკრატიულმა თათბირმა, გუშინ გამოიტანა რეზოლიუცია ბოლშევიკებთან მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ და წინადადება მისცა მუშებს პროტესტი განაცხადონ ლენინის და ტროცკის პოლიტიკის წინააღმდეგ. დღეს პეტროგრადის ქარხნებში მოხდება მიტინგები ამ ამბის შესახებ. საღამოზე ქარხნების კომიტეტების თათბირი გაიმართება. 12 საათიდან დაიწყება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენ. კომ. თათბირი მომავალი ტაქტიკის შესახებ საკითხის გადასაწყვეტათ.

კავკასიის ფრონტის კომისარს სამხედრო სამინისტროს სამხედრო პოლიტიკურ განყოფილებიდან.

საერთო დემოკრატიული თათბირი მთავრობის შედგენის შესახებ გაგრძელდა მთელი გუშინდელი ღამე და დღე. 3 ნოემბერს თათბირზე ბოლშევიკებმა თანხმობა განაცხადეს შესდგეს ცენტრ. აღმასრულებელი ორგანო ყველა სოციალისტურ პარტიების და კავშირების წარმომადგენლებისაგან. ამასთან მოითხოვეს, რომ დროებით მთავრობაში აუცილებლათ შევიდეს ტროცკი (საგარეო საქ. მინისტრათ) ლენინი (შინაგან საქ. მინისტრათ) და მესამე მათი კანდიდატი, რომელიც არ დაუსახელებიათ სამხედრო მინისტრათ. თათბირი ამ კანდიდატების წინააღმდეგი იყო. თათბირს ცოცხალი სული ჩაბერეს საერთო არმიის კომიტ. და სრულ. რუსეთის რკ. გზის კავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც მთავარ ბანაკიდან მოვიდენ პეტროგრადში.

---

3 ნოემბერი პეტროგრადი. ეხლა შესათანხმებელი თათბირია, რომელზედაც ბანაკის და სრ. რუს. რკ. გზის კავ. დელეგატებმა მოხსენება გააკეთეს. მენშევიკები და ს.-რევოლიუციონერები მოითხოვენ, სანამ შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებას დაიწყებდენ, გაუქმდეს განსაკუთრებული წესები და ტერორი. ბოლშევიკები სწორე პასუხს არ იძლევიან. ამგვარათ შეთანხმების საქმე ბეწვზე ჰკიდია. გუშინ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტში განიხილეს საკითხი სრ. რუს. რკ. გზ. კავშირის დეპუტატების შესახებ, შედეგი არ იციან. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში გუშინ გამოიტანეს სრულიად რუს. რკ. გზ. კავშირის წინააღმდეგ ცილისწამებით სავსე რეზოლიუცია. საერთო მდგომარეობა ცუდია. თუმცა სრ. რუს. რკ. გზ. კავშირის პოზიციას დაადგენ ეხლა პუტილოვის, ობუხოვის, ბალტიის და სხვა ქარხნების მუშები, სადაც განზრახულია მოახდინონ მიტინგები ამ პლატფორმის გასატარებლათ. მიტინგებზე იმ პარტიების წარმომადგენელნი დაესწრებიან, რომელნიც ამას თანაუგრძნობენ.

„ნოვ. ჟიზნ"-ში 2 ნოემბერს დაბეჭდილია გენ. ვერხოვსკის შემდეგი წერილი: მე ღრმათ აღშფოთებული ვარ, რომ ჩემდა დაუკითხავათ შემიტანეს მინისტრთა სიაში: არავითარი შეთანხმება არ მსურს ბოლშევიკებთან, რადგან ისინი ყველაფერს გვპირდებიან და არაფერს კი არ მოგვცემენ. ზავის მაგიერ სამოქალაქო ომს, პურის მაგიერ შიმშილობას, თავისუფლების მაგიერ ძარცვა გლეჯას, ანარქიას და მკვლელობას. ზავს მოგვცემს მხოლოდ მთელი ქვეყნის მიერ ცნობილი მთავრობა. გლეხებს და ყაზახებს ბოლშევიკებთან შეთანხმება არ სურთ. მე ვიბრძოდი ზავის აქტიურ პოლიტიკისთვის, მაგრამ თავის დღეში გვერდში არ ამოუდგები ისეთ ხალხს, რომელსაც სისხლით აქვს ხელები გასვრილი, ჩვენ უნდა ვიხსნათ ქვეყანა ანარქიისაგან, უნდა ვიბრძოლოთ, ბოლშევიკები შერცხვენის მეტს არას მოგვცემენ. ვერხოვსკი".

რუსეთის ს. დ. მ. პ. მოსკოვის ორგანიზაციისაგან: მოსკოვის ორგანიზაციის გაერთიანებული კომიტეტი წინადადებას აძლევს კრებებზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღონ: „მუშათა კლასი საშინელ დღეებს განიცდის. ძმათა სისხლით ირწყვება მთელი რუსეთი. ძალა-უფლების ხელში ჩაგდების გეგმამ გატაცებამ რუსეთის რევოლიუცია უფსკრულის პირზე მიიყვანა. ჩვენი ვალია შეერთებული ძალით შევეცადოთ შევქმნათ ერთგვარი მთავრობა, რომელიც დაიცავს რევოლიუციას და სასტიკი ბრძოლა გამოუწიოთ კონტრ-რევოლ. ამისათვის საჭიროა მთელი ძალ-ღონით ვეცადოთ ბოლო მოვუღოთ სამოქალაქო ომს. მოვითხოვოთ დაუყოვნებლივ მოხდეს დროებით შერიგება.

ფინლიანდია. 1 ნოემბერი. დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, მოთხოვნები პოლიტიკურია.—სეიმის მიერ იენისში და ივლისში მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარება.

პეტროგრადი. ქუჩებში ექსცესები მოისპო, ქალაქში სიწყნარეა, თეატრებშიც კი წარმოდგენები იმართება, პარტიები და ორგანიზაციები გაცხარებული მუშაობენ მთავრობის შესადგენათ. ბოლშევიკები შლიან ყოველივე კომბინაციას, რომელიც კი ფართე მასისთვის მისაღებია. აქ იბადება ახალი არეულობის მოლოდინი. მთავრობის დაწესებულებების და ბანკების ბოლშევიკების წინააღმდეგ ბოიკოტი გრძელდება.

მოსკოვი. 2 ნოემბერი. მთავრობის ერთგული ჯარი იძულებული შეიქნა დამორჩილებულიყო, რევ. კომიტეტს და საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტის ხელშეკრულობის თანახმათ.

3 ნოემბერი. იუნკრების იარაღის აყრას და ყველა ადგილების დაჭერას, რომლებიც წინათ მათ ხელში იყო კონტროლს უწევს და თვალყურს ადევნებს პირობის თანახმათ მათ შესრულებას სრ. რუს. რკ. გზათა კავშირი, რომლის წარმომადგენელნი ყოველ პუნქტებზე არიან, რომ თავიდან აიცილონ იუნკრებს მოსალოდნელი ძალდატანება. სროლის დროს ძლიერ დაზარალდა კრემლი, ჩუდოვი და მიძინების სობორო, დაინგრა და დაიწვა აფთიაქები და შენობები. ძლიერ დაზარალდა ალექსეევის ქუჩა, მეტროპოლი, ტელეგრაფი და მრავალი კერძო სახლი. ჯერ დაწვრილებით გამორკვეული არ არის.

კიევი. უკრაინელებმა დაიჭირეს პოლკ. კოზინი, შტაბ-როტმ. სელივანოვი და პორუჩიკ პრიხოდკო. დაიჭირეს პრაპორშჩიკი კოვალენკო, რომელმაც თავის ხელით მოჰკლა პოლკ. კოზინი. ეხლა ქალაქში სიწყნარეა. პეტროგრადთან და მოსკოვთან დამოკიდებულება შეწყვეტილია. ტელეგრაფის სადგურზე უკრაინელთა კომისარები არიან. ტელეგრაფის სეკრეტარიატში ხუთი ახალი წევრი შეიყვანეს.

ოდესა. 25 ოქტომბერი. შესდგა ყველა პარტიების და ორგანიზაციებისაგან კომიტეტი, რომელიც მხარს უჭერს მოწოდებას.

ყაზანი. მოსულ ცნობებით ყაზანში საშინელი ბრძოლაა. ერთის მხრით ბოლშევიკებს გარნიზონს და მეორე მხრით იუნკრებსა და საარტილერიო ბრიგადას შუა. მსხვერპლი აურაცხელია.

ვორონეჟი. დონის ქვა-ნახშირის მთელი მიდამოების დაპყრობის შემდეგ გენ. კალედინი წინ წავიდა და 1 ნოემბერს ქ. ვორონეჟი დაიჭირა.

ჩრდილოეთის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტების 1 ნოემბრის დილის სხდომაზე მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და ბოლშევიკების ხმით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: იღებს რა მხედველობაში, რომ მთელი ჩრდილო-დასავლეთის ოლქის შეხედულების გამორკვევა მიმდინარე ამბებზე შეუძლია მხოლოდ მისი საბჭოების სრულ უფლებიან ყრილობას, ჩრდილოეთის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტების კრებას საჭიროთ მიაჩნია მოწვეულ იქნას ეს ყრილობა 20 ნოემბერს. ამ ყრილობის მოწვევამდე განიხილა რა საქმის ვითარება და შეიგნო რა მთელი ის უბედურება, რომელსაც უმზადებს დემოკრატიას სამხედრო—რევოლიუციონურ კომიტეტისა და რევოლიუციის დამცველ კომიტეტის სახით მისი ორი ცენტრის არსებობა, რაც ყოფს დემოკრატიას ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ, რომელთა შორის უკვე დაიწყო შეტაკება—ჩრდილოეთის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტების კრება ფიქრობს, რომ საჭიროა დროებით, ოლქის ნების გამორკვევამდე ვიცნოთ ერთად ერთ ხელმძღვანელ ცენტრათ პეტროგრადის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი, მხარი დაუჭიროთ მას ყოველივე ძალ ღონით, რისთვისაც საჭიროა 1) შეიქმნას ჩრდილო დასავლეთის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი, 2) მოწვეულ იქნას ჩრდილოეთის ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წარმომადგენელი პეტროგრადის სამხ. რევ. კომიტეტში, 3) მიეცეს სამხედრო—რევოლიუციონურ კომიტეტს ფართო, დამოუკიდებელ მოქმედების უფლებები, 4) ეცნობოს ყველა სამხ.—რევ. კომიტეტებს, ცენტრალურს და ადგილობრივებს, რომ ჩრდილო-დასავლეთის სამხ.—რევ. კომიტეტში შედიან მემარცხენე ს.-რ.-ები და ს.-დ. ბოლშევიკები და რომ კომიტეტის პოზიცია ისეთია, რომ მოითხოვს დაუყონებლივ განხორციელებულ იქნას შემდეგი დებულებანი: [illegible] სოციალისტური [illegible] შექმნა, მიმართვა მეომარ ქვეყნების მთავრობებისა და ხალხისადმი დემოკრატიული ზავის ჩამოგდების წინადადებით, რევოლიუციონურ პეტროგრადის წინააღმდეგ ჯარების გაგზავნის შეჩერება, პეტროგრადიდან მათი უკან გამოწვევა, ყოველგვარი სამსახურიდან გაძევება იმ პირებისა, რომლებიც თავს უყრიდენ და ხელმძღვანელობდენ ამ ჯარებს, რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის ყველა კომიტეტების დათხოვნა, დამფუძნებელ კრების არჩევნების მოხდენა დანიშნულ დროზე. ჩრდილოეთის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტების კრება მიმართავს ყველას, განსაკუთრებით რევოლიუციონურ დემოკრატიას, რკინის გზებისა და ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეებს, რომლებიც თავიდანვე მედგრათ იცავდენ მშრომელი ხალხის ინტერესებს და რომლებზედაც განსაკუთრებით ახლა არის დამოკიდებული ამ უკანასკნელის ბედი და მოუწოდებს მხარი დაუჭირონ ჩრდ. ოლქის აღმ. კომიტ. კრების მიერ შემუშავებულ გეგმის ცხოვრებაში გატარებას, მისალმება საბჭოთა ყრილობის მიერ გამოცემულ დეკრეტებს ზავისა და მიწის შესახებ, და მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუციის ინტერესები მხარი დაუჭირონ ცენტრალურ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს მიწის, თავისუფლების და დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლაში".

გაზეთებიდან.

24 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. 30 წ. საზამთრო სასახლეში პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ქაღალდი მიიღო დროებითი მთავრობამ, სადაც საბჭო მოითხოვდა, რომ მთავრობა 20 წუთის ვადაში დანებებოდა. თუ ვინიცობაა არ დაგვნებდებით პეტრე-პავლეს ციხიდან და კრეისერ „ავრორადან" ზარბაზნებს დავუშენთ სასახლეს და ისე დაგიმორჩილებთო. დროებით მთავრობის სრული შემადგენლობა იყო იმ დროს საზამთრო სასახლეში. მან უარჰყო საბჭოსთან მოლაპარაკება და მოთხოვნაზე არც პასუხი გასცა. ასეთი მოთხოვნის შემდეგ საზამთრო სასახლეში შეკრიბეს იუნკრები და სხვა დარაჯები, რომლებიც აქვე სასახლეში იყვნენ როგორც დარაჯები და მათ სიტყვებით მიმართეს მინისტრებმა მასლოვმა, კიშკინმა და მალიანტოვიჩმა. სიტყვებში ისინი ამტკიცებდენ, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევის წინა დღით ბოლშევიკების მიერ ასეთი მოთხოვნების წამოყენება უსაფუძვლოა და სხვ. იუსტიციის მინისტრმა მალიანტოვიჩმა სთქვა, რომ როგორც ძველი სოციალ დემოკრატი და არა მარტის თვეში გასოციალისტებული, ვამბობ: ვერ გამიგია, რა სურთ ბოლშევიკებს ასეთი გამოსვლით. შემდეგ მან მიუთითა იმ არა სასურველ შედეგებზე, რაც ამ აჯანყებას მოჰყვებოდა და მოუწოდა იუნკრებს დაეცვათ ხალხის უფლება. ვინაიდან ამ დროს 20 წუთის ვადა უკვე გათავდა, კიშკინის განკარგულებით იუნკრებმა დაიკავეს სასახლის ყველა შემოსასვლელი პუნქტები და შეუდგენ თავდაცვის მზადებას. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკიტინმა განაცხადა, რომ მთავრობა ასეთ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს არ სცნობსო. შემდეგ მან აღნიშნა, რომ ბოლშევიკები განცალკევებული არიან, მათ ჩამოშორდენ: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ესერები და მენშევიკები, რომ საბჭოთა ყრილობა არ შემდგარა და სხ. ერთი სიტყვით დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ვისმესთვის ძალა-უფლების ხელში გადაცემა უსაფუძვლოა. ნიკიტინის აზრით ბოლშევიკების რიცხვი მცირეა. გარნიზონის დიდი ნაწილი ბოლშევიკების გამოსვლას გულგრილად ეპყრობა, ხოლო გარნიზონის მცირე ნაწილი იჩენს აქტიურ მოქმედებასო. თუმცა ჩვენ ყოველ წამში მოველით საზამთრო სასახლისთვის ყუმბარების დაშენას, მიუხედავათ ამისა გარნიზონის ნაწილი მაინც ჩვენ დაგვიჭერს მხარსო.

— საღამოს საბჭოს მომხრე ჯარებს ებრძანა აეღოთ საზამთრო სასახლე. როცა საბჭოს მომხრე ჯარებმა სასახლის მიდამოს დაკავება იწყეს, მათ აქ საზამთრო სასახლიდან ტყვიის მფრქვეველებით და თოფების სროლით შეხვდენ და როცა საბჭოს ჯარები დროებით მთავრობის მომხრე ჯარებს დაუახლოვდენ მიხეილის საარტილერიო სასწავლებლის ზარბაზნებიდან, რომლებიც საზამთრო სასახლეში იყო მოთავსებული, რამდენჯერმე გაისროლეს, რომ ამით საბჭოს მომხრე ჯარები გაეფანტათ. პირველად საზამთრო სასახლიდან გასროლილ იქნა ზარბაზანი საღამოს 9 ნახევარ საათზე. საზამთრო სასახლიდან გასროლამ პეტროგრადის მცხოვრებნი ფეხზე დააყენა. ყოველი მხრიდან ხალხი საზამთრო სასახლისკენ დაიძრა, მაგრამ საბჭოს ჯარების ბანაკს ვერავინ ვერ გაშორდა—არავის არ უშვებდენ.

25 ოქტომბერს შუადღის 12 ს. მარინის სასახლე გარეგნულად ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. რესპუბლიკის საბჭოს წევრები ძლიერ ცოცხალი იყვნენ, მაგრამ ყველას მოუთმენლობა, აღელვება ეტყობა. სხდომის გახსნას არავინ არ ელოდება. ყველასათვის აშკარაა, რომ რესპუბლიკის საბჭოს მუშაობაზე ფიქრი ზედმეტია. ალაგ ალაგ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და ჩურჩულებენ იმ ახალ ამბებზე, რომლებიც განუწყვეტლივ სასახლე-

ში მიდის. ტელეფონის სადგური ბოლშევიკებმა დაიკავეს... მარიის სასახლეში ტელეფონები აღარ მუშაობენ... ბოლშევიკებმა დაიკავეს სახელმწიფო ბანკი, საზამთრო სასახლე და სხ. აი რაზე მსჯელობენ:

ბგერ კუსკოვას ქალი უამბობს თავისი ქმარის მინისტრის პროკოპოვიჩის დაპატიმრების შესახებ.—ჩვენ ავტომობილით მოვდიოდით და ჯარისკაცებმა კანავასთან გაგვაჩერეს, სერგეი მიხეილის ძემ ქაღალდი წარუდგინა, რომელიც გამოცემულია სასურსათო სამინისტროსაგან. რამდენიმე ჯარისკაცი შოფერთან დაჯდა და წინადადება მისცეს ჩვენ გაჰყოლოდა მეორე ავტომობილს, რომელშიაც ჯარისკაცები ისხდენ. ავტომობილი გააჩერეს ყვითელ შენობასთან, რომელიც შტაბის მახლობლად არის. სერგეი ნიკოლოზის ძე შეიყვანეს ამ სახლში. მეც ვიფიქრე გავყოლოდი მას, მაგრამ დარაჯებმა მე გზა გადამიღობეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ის უკვე გამოიყვანეს გარეთ დარაჯებ გარშემორტყმული. გამოაცხადეს, რომ ის დაპატიმრებული იყო და წაიყვანეს სმოლნი ინსტიტუტში. მე მომთხოვეს ჩემი პიროვნების დამამტკიცებელი საბუთი და როცა ის განიჩიეს მითხრეს: „თქვენ ჯერ ჯერობით ჩვენთვის საჭირო არ ხართ“ ყველაზე ნაკლები აღელვება ეტყობა სასახლის საზოგადოების ნაწილს, ეტყობა რომ ისინი კარგათ შეეჩვივნ ასეთ ცვლილებებს. პირველი საათის დასაწყისში ფრაქციებმა თავიანთ სადგომებში სხდომები გამართეს, ამავე დროს სასახლეში შეიარაღებული ჯარისკაცები შევიდნენ.

მიუხედავათ იმისა, რომ ა. ვ. ლიუბას პიროვნება ბევრმა დაუდასტურა ჯარისკაცებს ეს მაინც არ დარჩა საკმაო. და როცა მათ უთხრეს, რომ თქვენს წინაშე ეს პრაპორშჩიკია, რომელმაც კორნილოვის გამოსვლების დროს სამხრეთ ფრონტზე ა. ი. გუჩკოვი დაპატიმრა, ჯარისკაცებმა უხერხულობა იგრძნეს და ის გაანთავისუფლეს. ჯარისკაცები მთავარ კიბესთან ჩამწკრივდენ. ყველა შემოსასვლელ ადგილებში დარაჯები გააძლიერეს. ხმა გავრცელდა, რომ ჯარისკაცები მოითხოვენ სასახლის სავსებით დაცლასა და სხ. პრეზიდიუმი დაჩქარებით იწვევს უწყვეტად საბჭოს კრებას. თითონ აქვსენტიევმა ჩამოიარა ფრაქციების სადგომები და ყველას მოუწოდა კრებაზე გამოცხადებულიყვენ. 10—15 წუთის შემდეგ უკვე ყველამ იცის უბედური საბჭოს გადაწყვეტილება: გამოტანილ იქნა პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ, დაემორჩილოთ ძალადობას და წინადადება მიეცეს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს განაახლოს საბჭოს სხდომები, რაც შეეძლება დაჩქარებით. ზოგიერთა წევრებმა იფიქრეს, რომ ამით ყველაფერი გავაკეთეთო და დასტოვეს მარიის სასახლე. ამ დროს გადაწყდა სხდომის გახსნა. შეიკრიბა ასზე ცოტა მეტი წევრი. 5—10 წუთის შემდეგ ორატორებმა ლაპარაკი მოათავეს. სხდომამ ერთხმად დაადგინა ძალადობის წინააღმდეგ განცხადების პროტესტი და 56 ხმით 48 ხმის წინააღმდეგ დახურა სხდომა. სხდომის დახურვის შემდეგ ავქსენტიევმა განაცხადა, რომ შემდეგ სხდომის დროს საგანგებო უწყებით გაცნობებთ. წევრები ჯგუფ-ჯგუფათ გამოდიან და ერთმანეთს ეკითხებიან: ხომ არ დაგვაპატიმრებენო. გამოდის აქვსენტიევი და ჯარისკაცების გვერდით ჩადის. როგორც თავმჯდომარე საბჭოსი, ის ყველაზე ბოლოს სტოვებს სასახლეს. წინეთ განთავისუფლებული შრომის მინისტრის ამხანაგი დიუმა, რომელიც მოსაზრებით ჯარისკაცებმა სხვა პიროვნებათ მიიჩნიეს და დაპატიმრეს. იქვე ახლოს მყოფი წევრები აღელვებული ამბობენ, რომ დიუმა მაშინ იყო სოციალისტი, როცა თქვენ სოციალიზმის სახელიც არ გქონდათ გაგონილი.

მთელი დღის განმავლობაში ქალაქის გამგეობას და ზოგიერთ ხმოსნებს თათბირი ჰქონდათ. საღამოს მოხდა კრება ქალაქის საბჭოში, კრების დაწყებისას ქალაქის თავმა ცნობა მიიღო, რომ ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს რაცაც უნდა დაჯდომოდათ აეღოთ საზამთრო სასახლე. ამასთან ერთად ქალაქის თავს აცნობეს, რომ დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა დარჩეს თავის ადგილზე და ჯანყებულებთან არავითარი მოლაპარაკება არ გამართოს. ამ შეტყობინებამ ყველა დააფიქრა, ყველა დარწმუნდა, რომ სისხლის ღვრა აუცილებელი იყო და ყველაფერი ეს იმით გათავდება, რომ დროებითი მთავრობა დაიმარხება საზამთრო სასახლის ნანგრევებში. გაითვალისწინეს რა ეს ტრაგიკული მდგომარეობა, ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ აერჩია დელეგაცია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა წასულიყო სმოლნის ინსტიტუტში, კრეისერ „ავრორა“-ზე და საზამთრო სასახლეში.

დელეგაცია უნდა ეცადიყო მოერიგებინა ორივე მხარე. დელეგაციაში შევიდნენ: ქალაქის თავი შრეიდერი, საბჭოს თავმჯდომარე ისაევი, საგანგებო საკრებულოს თავმჯდომარე არლეთინსკი დოლგორუკოვი, ხმოსნები პეტროვი, პ ნინა, მილოხინი, ლეცკი, კორინევი და პოსტნიკოვი. ღამის მეათე საათზე დელეგაცია წავიდა მოსალაპარაკებლათ. თერთმეტის ნახევარზე დელეგაცია უკან დაბრუნდა და განაცხადა, რომ მან ვერ შესძლო ვერც საზამთრო სასახლეში შესვლა და ვერც კრეისერ „ავრორასთან“ მისვლა, კრეისერთან მეზღვაურებმა არ მიუშვეს დელეგაცია და სასახლესთან მისვლის დროს იქ სროლა იყო და ამიტომ შეუძლებელი იყო იქ შესვლა.

ამის შემდეგ ხმოსნების უმეტესობამ პროტესტი განაცხადა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკმა მანუილსკიმ სთქვა, რომ უკეთუ ბოლშევიკებს შესძლებოდა სისხლის ღვრის თავიდან აცილება, იგინი ყოველ ღონეს იხმარებდნენ ამისთვის, მაგრამ ეს მათ ეხლა აღარ შეუძლიათ. ერთად-ერთი გზა ისღა დაგვრჩენია, რომ ძალა დაატანოთ დროებით მთავრობას უბრძოლველათ დამორჩილდეს. ს.-რევოლუციონერმა ბიხოვსკიმ განაცხადა, რომ ხმოსნებს უფლება არა აქვთ თავიანთი არჩეულები და ამხანაგები, რომლებიც დროებით მთავრობაში არიან ღვთის ანაბარა დააგდონ და დაიღუპონ და თუ მათი დაღუპვა აუცილებელია, ჩვენც ყველანი მათთან დავიღუპოთო. შემდეგ სასურსათო მინისტრმა პროკოპოვიჩმა წუხარება გამოსთქვა, რომ დატუსაღებამ მას ხელი შეუშალა თავის ამხანაგებთან ერთად ყოფილიყო. ხმის უმრავლესობით ბოლშევიკების წინააღმდეგ ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა მთელი თავის შემადგენლობით წავიდეს საზამთრო სასახლეში და შეეცადოს სისხლის ღვრის თავიდან აცილება. ამ დროს ცნობა მიიღეს, რომ ქალაქის საბჭოს უერთდება გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭო, ერობათა და ქალაქების წარმომადგენლები, რომლებიც ამ დროს პეტროგრადში იმყოფებოდენ. ღამის პირველ საათზე ქალაქის საბჭოში მოვიდენ მენშევიკთა და ს.-რევოლუციონერთა საბჭოების ყრილობის დელეგატები და რუს. ს. დ. მ. პ. ცენტრ. კომიტეტის წევრები და გადასწყვიტეს ყველანი წასულიყვენ საზამთრო სასახლისკენ. ღამის ორ საათზე გამოირკვა, რომ დელეგატები არ გაუშვეს სასახლისკენ და ყველა ხმოსნები საბჭოს დარბაზში დაბრუნდენ.

25 ოქტომბერს საღამომდე ცენტროფლოტმა არაფერი არ იცოდა რევოლუციონური კომიტეტის მოქმედების გეგმის შესახებ, ფლოტის სხვადასხვა ნაწილების შეკითხვებზე ცენტროფლოტი პასუხად უგზავნიდა, რომ ყოველგვარ შეიარაღებულ გამოსვლას ცენტროფლოტი სასტიკათ ჰგმობს. რაც შეეხება კერძო პირთა და ნაწილების მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას, თუ იგინი შესაძლებლათ დაინახავენ ამას, ცენტროფლოტი ამის წინააღმდეგი არ არის. ორ საათზე ნიკოლაევსკის ხიდთან გაჩერდა ტრანსპორტი კრონშტადის მეზღვაურების, რომელთაც პეტროგრადის საბჭომ გამოუძახა კრონშტადიდან. მათ დელეგატები გაგზავნეს ცენტროფლოტში და მოითხოვეს აეხსნათ მათთვის რაზე გამოიწვიეს. ცენტროფლოტმა დელეგატები სამხედრო-რევოლუციონურ კომიტეტში გაგზავნა განმარტებისათვის. რესპუბლიკის საბჭოს გარეკაში მონაწილეობა მიიღო გვარდიის ეკიპაჟმა ცენტროფლოტის ნებადაურთველათ. თუმცა ყოველივე საშუალება იხმარეს, მაგრამ ბოლშევიკებმა მაინც ვერ შესძლეს ადმირალტეისტვოსა და საზღვაო სამინისტროს აღება, რადგან ეს ორი დაწესებულება ცენტროფლოტის ხელშია, რომელიც არ თანაუგრძნობს ბოლშევიკების მოძრაობას.

დეპეშა

თიანეთი. დღეს დასრულდა თიანეთის მაზრის გლეხთა ყრილობა. მონაწილეობას იღებდენ რევოლუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ყრილობამ მიიღო ს.-დ. ორგანიზაციათა სამაზრო კომიტეტის დამფუძნებელ კრების საარჩევნო პლატფორმა. აირჩიეს საზოგადოებრივი თავდაცვის რევოლუციონური კომიტეტი.

ყრილობის თავმჯდომარე კუმეჩაშვილი.

ახალი ამბები

არჩევნების გარშემო. ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს თფილისის მცხოვრებთ, რომ საბოლოოთ შესწორებული და შევსებული საარჩევნო სიები გამოფენილია ქალაქის საარჩევნო კომისიის ბინაზე (გოლოვინის პრ. № 11).

— ამომრჩეველთა რიცხვი ქალაქში უდრის 123588.

◆ **გლეხთა ყრილობა.** სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 10 ნოემბერს იწვევს პეტროგრადში გლეხთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლების ყრილობას. 150 ათასი გლეხი გზავნის 1 დელეგატს. თუ ადგილობრივ არ მოხერხდა გლეხთა ყრილობების მოწვევა დელეგატის ამოსარჩევათ, მაშინ დელეგატს ირჩევს პირდაპირ გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

◆ **მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდება.** კავკასიის სამასწავლო ოლქის კომისარიატმა განათლების საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო ცირკულიარული განკარგულება, რომლისაც თანახმათ ამ სამინისტროს უწყების სასწავლებელთა მასწავლებლებს ემატებათ 65 მან. თვეში; ამნაირათ მასწავლებლები მიიღებენ 135 მან.

◆ **საარჩევნო ფონდი.** მივიღეთ სოფ. ხონიდან ივანე კონ. ბერიძისაგან 50 მან., სევასტი წულაიასაგან 50 მ., ნესტორ ურეჯელიძისაგან 50 მ., ფოთის ორგანიზაციისაგან 600 მან.

◆ **კონიაკი და სხვა მაგარი სასმელები** იყიდება ექიმის რეცეპტით სარაჯიშვილის და არგუს ქარხნებში.

კრებები და მიტინგები.

მცირე კოლექტივი მერვე სამილიციო ნაწილის ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე მართავს ლექციას. 1) თვითმიმდინარე მომენტი 2) დამფუძნებელ კრების ტეხნიკურ მხარეზე, აუცილებელია ამხანაგების დასწრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მე 6 გიმნაზიის შენობაში, უდელნი (საუფლისწულო) ქ., № 3, პირველი სამილიციო უბნის რ. ს.-დ. მ. პ. საარჩევნო კომიტეტი იწვევს მცირე კომიტეტების წევრების და თანამგრძნობთა საზოგადო კრებას დამფუძნებელ კრების საარჩევნო სამუშაოს გასანაწილებლათ.

— დღეს, შუადღის 1 ს., სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნ. დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (გრიბოედოვის ქუჩ.), დანიშნულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი კრება. კრების საგანია: უძრავი ქონების, მიწის შეძენის საკითხი წყნეთის ქუჩაზე და ახალი წევრების არჩევა. კრებაზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ საზოგადოების წევრებს.

— დღეს, საღამოს 7 ს., სასახლეში დანიშნულია მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, დანიშნულია საგანგებო შეერთებული სხდომა თბილისის კომიტეტის და ყველა რაიონულ კოლექტივების წევრებისა.

პროვინციის ქრონიკა

თელავი. კაი ხანია სულზე ნახევარ გირვანქა პური ეძლევათ აქაურ მცხოვრებთ: პურს მეტ წილათ ქერის ფქვილისას აცხობენ, მაგრამ დიდი უბედურება ეს არის, რომ ფქვილის გაცრა ფიქრათ არ მოსდით ჩვენ მეპურეებს, რის გამოც პურში ათას რამეს ვპოულობთ: კენჭებს, ბზეს, თოკის ნაწყვეტებს და სხვადასხვას; კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას ქალაქის თვითმართველობა.

—ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელნიც რამდენიმე დღე გაფიცულები იყვნენ, ეხლა კვლავ განაახლეს სწავლა.

ოზურგეთი. ვინაიდან 15 ოქტომბერს საკმაო წევრები არ გამოცხადდენ, გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება ხელმეორეთ არის დანიშნული 10 ნოემბერს დილით 11 საათზე ქ. ოზურგეთში, ახალ თეატრის დარბაზში. ამ დღეს რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს, კრება შესდგება და კანონიერათაც ჩაითვლება, კრების განსახილველი საგნები იგივეა. ამ დღეს არის მოწვეული ოზურგეთში მთელი გურიის მეურნეთა კრება და მით უფრო საინტერესოა ამ კრებაზე დასწრება.

საარჩევნო სამზადისი

სალამი 12 ნოემბერს.

პირველი მისალმება ეკუთვნის 12 ნოემბერს, როგორც რუსეთის ისტორიაში სადღესასწაულო დღეს. ეს ის დღეა, როდესაც მთელი რუსეთის ყველა შეგნებული მოქალაქე ჩაიხედავს ჯერ თავის სინდისის სიღრმის სარკეში და შემდეგ განსპეტაკებული, თავისუფალი ნების ყოფით, წარსდგება მოწიწებით და კრძალვით საარჩევნო ყუთის წინაშე და იქ იტყვის პირველ და უკანასკნელ მისთვის და ქვეყნისათვის საბედისწერო სიტყვას, მაგრამ არა ჩვეულებრივს, ენით ნათქვამს, არამედ იდუმალს, სალი გონების ნაკარნახევს. აქ მართებს მას, თუ დღემდის გაუშვია ეს მოვალეობა, დღეის შემდეგ მაინც, ღრმათ დაუფიქრდეს თითოეულს მისს გულის თქმას, მისს მაჯის ცემას, ფეხის ნაბიჯს და ისე წინასწარ აწონ-გაზომოს 12 ნოემბრის მისი სამოქმედო სულის ლტოლვა. სხვადასხვა პარტიების საზეიმო გარეგნულმა მორთულობამ, ლამაზი სიტყვებით შეკინძულმა ფრაზებმა ან გაფუვალ ჟღურტულმა არ გადაახვიოს და ან უძირო მორევში არ ჩაახრჩოს. საცოდავი არ არის, რომ არც ერთი მშრომელი, შრომის შვილათ დაბადებული, შრომის უღელში ჩაბმული და მისი ცხენისის მონაზიარე არ მოსცყუვდება და სიცრუით დაფასებას მისთვის საგანგებოთ, არა ხელოვნურათ, არამედ თვით ცხოვრების გაკვეთილებით მოვლინებულ პარტიას ს.-დემოკრატიისას. მან იცის, რომ ამ პარტიის ისტორია შრომის გრძელი ნაწრთობია, იცის, რომ მაშვრალის ოფლის ნაკადის წვეთებზე ჩამოყალიბებულია და ამიტომ, აღჭურვილი სულით და წრფელი გულით, მიანდობს ამ პარტიას მისი ბედის კვერის გამოცხობას და თვით მისი ბედის გამოჭედვას.

12 ნოემბრის საარჩევნო პროცესი რომ სასურველათ ჩატარდეს და ყუთების გარშემო ხალხის ფართე მასსა შემოკრბეს, მას უნდა უძღოდეს შემდეგი წინასწარი სამზადისი: 12 ნოემბერი შეხვდება კვირას, კვირაობით, როგორც ქალაქებში, ისე დაბა-პროვინციებში იკრიბება ხალხი საბაზროთ და რომ ამ დღეს ხალხი არ დააკლდეს არჩევნებს, მიზან-შეწონილი იქნებოდა, თუ რომ ერობ. და სასურსათო კომიტეტები და კომისრები წინდაწინვე გააფრთხილებენ ხალხს, რომ ის ერთი დღის ბაზრობა შეეწიროს ამ დიდად საქმეს. გამოაკრან ფურცლები, რომ 12 ნოემბერს ყოველგან მთელი დღით აკრძალული იქნეს ვაჭრობა,—დაიკეტოს სავაჭრო დარბაზები და სახელოსნოები.

ს. ბარათაშვილი.

ს. ავჭალა. 4 ნოემბერს აქ შესდგა საგანგებოთ მოწვეული კრება ს.-დ. ამხანაგებისა. კრების თავმჯდომარემ ვასო აბაზაძემ მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ და ილაპარაკა თფილისის მუშამ თედორე ვასაძემ. აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს არჩევნებს: გაავრცელოს ბიულეტინი და ლიტერატურა და აგრეთვე ხელი შეუწყოს პროპაგანდა-აგიტაციას. გადაწყდა არჩევნების დაწყების დღეს, ე. ი. 12 ნოემბერს, სოფლიდან არავინ გავიდეს და მიიღონ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა.

ს. დიდი ჯიხაიში. ადგილობრივი ს.-დ. პარტია დამფუძნებელი კრების არჩევნების გარშემო ენერგიულათ მუშაობს. კოლექტივმა გამოყო თავის წრიდან საარჩევნო ბიურო, რომლის ხელმძღვანელობით იმართება უბნობით კრებები, როგორც საერთო, ისე პარტიული. კრებებს თანაგრძნობით ხვდებიან. ბოლშევიკების გამოსვლა არავის არ მოსწონს. ქვეყნის მხსნელათ მხოლოდ დამფუძნებელი კრების მოწვევაა და იქ სასურველი დეპუტატების გაგზავნა მიაჩნიათ.

ს. დიღომი (გარე ქალაქის რაიონი). 3 ნოემბერს, ს. დიღომში შესდგა საგანგებო კრება. დამფუძნებელი კრების შესახებ მოხსენება გააკეთა თფილისელმა მუშამ თევდორე ვასაძემ. აუხსნა კრებას აგრეთვე ტეხნიკური მხარე არჩევნებისა. კრებამ დაადგინა ენერგიული და მხურვალე მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და არჩევნების დღეს სოფლიდან არსად წავიდენ. აირჩიეს ხელმძღვანელი კომისია 25 კაცისაგან შემდგარი, რომლებმაც ჩაიბარეს თავ-თავიანთი კუთხე სახელმძღვანელოთ.

თიანეთი. 31 ოქტომბერს გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი მატან-მარილისში. მიტინგზე მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე, დამფუძნებელ კრებაზე, ომზე, პეტროგრადის ამბებზე თფილისელმა ამხანაგმა; არჩევნების ტეხნიკურ მხარეზე, პურის კრიზისზე, ლოთობაზე, მთებში მომხდარ ამბებზე—ამხ. ნ. ქესიაშვილმა; საერთო მდგომარეობაზე ილაპარაკა ვლ. მგელაძემ. ხალხი საღამოს დაიშალა. მიტინგს დაესწრო დიდძალი ქალებიც. ხალხი „გაუმარჯოს მ. პარტიას“ ძახილით დაიშალა. ასეთივე მიტინგი მოხდა პანკისის ხეობაში, რომელსაც დაესწრნენ ოსები, თუშები, ქისტები და ფშაველები. პანკისის ყრილობამაც ნდობა გამოუცხადა მუშათა პარტიას. 1 ნოემბერს, დილით გაიმართა ახმეტის [illegible] თათბირი დამფუძნებელ კრების შესახებ. 4 ნოემბერს თიანეთში დანიშნულია საარჩ. კომისიების, გლეხთა საბჭოების და ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა.

თელი მუშა.

ბათუმის ამბები

31 ოქტომბერს მოხდა ქართველ ჯარისკაცთა საზოგადო კრება სამხედრო კავშირის დასაარსებლათ. კრებას დაესწრო მრავალი ჯარისკაცები და სხვა სამხედრო პირები. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. კლდიაშვილი. კრებას მიესალმა ამხ. მალხაზოვი ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების სახელით. რ. ს. დ. მ. პ. ბათუმის კომიტეტის სახელით ესალმება ამხ. გ. ანჯაფარიძე, რომელმაც განმარტა, თუ როგორი ბოროტებაა საზოგადოთ ჯარის არსებობა, ჯარი უნდა შეიცვალოს სახალხო მილიციით, მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, სანამ რუსეთის რევოლუცია არ დაგვირგვინებულა დამფუძნებელი კრებით, ჯარების ნაციონალიზაცია აუცილებელია რევოლუციის, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრისაგან დასაცავათ. რევოლუციის პირველ დღეებში არ იყო ეს მოსახერხებელი, მაგრამ დღეს კი ამისათვის პირობები უკვე მომწიფებულია. ორატორი მოაგონებს დამსწრეთ, რომ ჩვენი ხსნა რუსეთის რევოლუციის გამარჯვებაშია. ვერავითარი პოლკების ნაციონალიზაცია ვერ გვიხსნის ჩვენ, თუ რუსეთის რევოლუცია დაიღუპება. რუსეთის რევოლუციის გამარჯვებაში და რუსეთის დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირზეა დამოკიდებული ჩვენი ბედ-იღბალიო. კრება მქუხარე ტაშით შეეგება ამხ. ანჯაფარიძის სიტყვას. კრებას ესალმებიან აგრეთვე სომეხ ჯარისკაცთა სამხედრო კავშირის წარმომადგენელი საჰაკიანი და მელიქიანცი. ს. ფედერალისტების სახელით—ყიფიანი. კრება გადადის დღის წესრიგზე. არსებული სამხედრო კავშირის კომიტეტის სახელით მოხსენებას კითხულობს მეუნარგია. ის ამბობს, რომ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა განიზრახა ქართული სამხედრო კავშირის შედგენა, ბევრი დაბრკოლებები გადაეღობა წინ, რადგან ჯერ კიდევ არ იყო პოლკების ნაციონალიზაცია ოფიციალურათ აღიარებული და დღემდის, როგორც იყო ვმუშაობდით, წესდებაც შედგენილი გვაქვს, დღეს კი მოვიწვიეთ საზოგადო კრება, რომლის საქმეა არსებული კომიტეტის გამოცვლა, თუ ისევ დატოვება. ერთი ამხანაგთაგანი აცხადებს: არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ არსებულ სამხედრო კავშირის კომიტეტში ერთი მიმართულების ხალხია მოკალათებული და ცხადია, ასეთი მრავალრიცხოვანი კრების ნება-სურვილის გამომხატველი ისინი ვერ იქნებიან, ამიტომ წინადადება შემოაქვს დღევანდელი კრება იქნეს აღიარებული დამფუძნებელ კრებათ, არჩეულ იქნეს დროებითი ხელმძღვანელი კომისია, რომელიც შეიმუშავებს ახალ წესდებას, იხელმძღვანელებს რა თფილისის სამხედრო კავშირის წესდებით, შემდეგ კი წარუდგენს [illegible] განსახილველათ და დასამტკიცებლათ. წინადადება კრებამ ერთ ხმათ [illegible] შესდგეს შვიდი კაცისაგან. დასახელებულ იქნა კანდიდატები. სავსებით გავიდა ს.-დემ. სამხედრო სექციის მიერ შედგენილი შერეული სია, გ. ანჯაფარიძე (ს.-დ.), რამიშვილი (ს.-დ.), ღუმბაძე (ს.-დ.), საბაშვილი (ს.-დ.), კილურაძე (ს.-დ.), მეუნარგია (ს.-ფ.) და ნიჟარაძე (ნ. დ.).

28 ოქტომბერს აქაურმა ფედერალისტებმა სალიტერატურო საღამო გამართეს. საღამოს დაფასებას ჩვენ არ შევუდგებით. ჩვენ გვინდა მხოლოდ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებაზე. ამ საღამოზე საგანგებოთ მოწვეულმა ცნობილმა ფედერალისტმა აკაკი ფიღავამ კაკი წერეთელი მილიუკოვთან ერთად იმპერიალისტათ გამოაცხადა. ბოლშევიკების გამოსვლით წერეთლების და მილიუკოვების იმპერიალისტურ მიდას ბოლო მოეღებაო. ჩვენ არ გვიკვირს ეს ფედერალისტებისგან და კერძოთ ფიღავასგან, მხოლოდ გვიკვირს, რათ დასჭირდათ ფედერალისტებს ამავე საღამოზე ქართულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში კაკი წერეთლის ქება დიდება, ხოლო რუსულათ ფიღავას მიერ წარმოთქმულ სიტყვაში კაკის მილიუკოვ-გუჩკოვ-ტერეშჩენკოებთან ერთად იმპერიალისტათ დასახვა? თუ მათი საშინაო პოლიტიკა სხვაა და საგარეო კი სხვა? ეს სრული სიმართლეა, მაშინ, როდესაც ისინი საქართველოში ანტიდემოკრატიულ მუშაობას ეწევიან, საგარეოთ კი, სიტყვით მაინც, სურთ უკიდურესი სოციალისტები გამოვიდნენ. ამიტომაც იყო, რომ ბ. ფიღავამ ამ საღამოზე მომენტის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ბოლშევიკებს მრავალი ქათინაურები უძღვნა, მათი მორიგი გამოსვლა რევოლუციის გამაღრმავებლათ ჩასთვალა. ბოლშევიკების გამოსვლა ახალი ეტაპია რევოლუციის გაღრმავებაში; ჩვენ მათი იმედი გვაქვს, ვინაიდან ისინი ერის უფლებას სრულ სეპარაციამდე აღიარებენ და ჩვენც უფრო „ღრმა“ ავტონომია მოგვცემთო. ნეტავი ვიცოდეთ, რამდენი ხანია ეს ვაგნატონები ბოლშევიკებზე ასეთ იმედებს ამყარებენ? აკი ფედერალისტმა ნუცუბიძემ ამ სამი თვის წინათ ბათუმშივე განაცხადა: ჩვენ რუს ესერებზე დიდ იმედებს ვამყარებთ ეროვნული ლტოლვილების განსახორციელებლათო, რადგან ესერები ძლიერი პარტიაა და ფედერატიულ რესპუბლიკას აღიარებენო, მაშ ასე, თუ ეს ვაგნატონები თვითმპყრობელობის დროს პეტერბურგისაგან ელოდენ ხსნას, თუ რევოლუციის შემდეგ ესერებზე და კერძოთ კერენსკიზე დიდ იმედებს ამყარებდენ, დღეს ბოლშევიკებში ხედავენ თავიანთი ეროვნული ლტოლვილების განხორციელების იმედებს. ვფიქრობთ, რომ ასე მოკლე დროში აბრეშუმის ჭიაც იცვლიდეს კანს.

ისინი აღარც პროვოკაციას ერიდებიან. ზ. ფიღავამ განაცხადა საღამოზე: სოც. დემ. მენშევიკებს სურთ თავიანთი ღვიძლ ამხანაგ ბოლშევიკების განადგურება და მათი სისხლში ჩახრჩობაო.

გ. დვაბზუელი.

სოც.-დემ. პარტიაში

ს. ფამფალეთი (გურია). 21 ოქტომბერს მოხდა ს.-დ. პ. იაჩეიკის კრება. მოისმინა კრებამ მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული დამფუძნებელი კრებისთვის სამი მანეთი ერთდროული გადასახადი თითოეულ წევრზე კრებამ სავალდებულოთ აღიარა. კრებამ გაარჩია სხვადასხვა კითხვები. დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის კრებამ სასურველათ სცნო მომზადებული შეხვდეს, ამისათვის გადასწყვიტა ორხელ შეიკრიბოს კვირაში და გაარკვიონ დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა. არჩეულ იქნა აგრეთვე სამი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, რომელსაც ევალება იაჩეიკის ანგარიშების წარმოება და საქმის ორგანიზაციულათ მოწყობა. შემდეგ მოხდა წევრთა მიღება.

ოლამპიადი.

სოფ. შობანი (გურია). რამოდენიმე დღის წინათ შოსეის სკოლაში მოხდა კრება, ბოლშევიკებმა მოუწოდეს დამსწრეთ ჩაწერილიყვნენ ბოლშევიკების წრეში. მენშევიკების სახელით ილაპარაკა ამხ. დ. ელენტმა და შეიტანა წინადადება, რომ შემდეგისთვის მოეწვიათ საზოგადო კრება, დაესწრონ ორთავე ფრაქციის წარმომადგენლები, როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების და გარკვეულათ აუხსნან ხალხს ორივე ფრაქციების ტაქტიკა და აგრეთვე სოც.-დემ. პროგრამა. დ. ელენტის წინადადება კრებამ ერთხმათ მიიღო.

შემთხვევით დამსწრე.

მუშათა შორის

თფილისი. 5 ნოემბერს თფილისის საკრებულოს საზაფხულო შენობაში შესდგა თფ. ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მომრიგებელ კომისიის მოხსენება ტარიფის შესახებ მოლაპარაკებაზე, 2) ბეჭდვითი საქმის მუშათა საბჭოს წევრების მოხსენება. 3) გაფიცვის ფონდის დაარსება და 4) საკონტროლო კომისიის არჩევა. კრებას დაესწრო ცენტრალური პროფესიონალური ბიუროს მიერ გამომუშავებული წარმომადგენელი ამხ. რ.

აფუშტროვი. მან გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტისა და დამფუძნებელი კრების შესახებ. მომხსენებელი შეეხო რევოლიუციის მსვლელობას დღიდან მისი წარმოშობისა და უკანასკნელი ბოლშევიკების გამოსვლა აღიარა დროს შეუფერებლად და მოუწოდა დამსწრეთ მხარი დაეჭირათ თფ. მუშათა საბჭოს მუშათა სექციის მიერ მიღებული რეზოლიუციისთვის, რომელიც უარყოფს ყოველივე ქუჩაში შეიარაღებულ გამოსვლას, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს სამოქალაქო ომი და ძმათა შორის სისხლის ღვრა, რაც საფრთხეში ჩააგდებს რევოლიუციას და გაამაგრებს კონტრ-რევოლიუციას. შემდეგ მოხსენებას აკეთებენ მუშათა საბჭოს წევრები ამხ. ტრეიმანი, ნ. ცერცვაძე და ბერგმანი. ამხ. ტრეიმანი ეთანხმება წინა მომხსენებელს და თავის მხრით დასძენს, რომ კავკასიაში ფაქტიურათ ძალა-უფლება საბჭოების ხელშია და არავითარი შეიარაღებული გამოსვლა მთავრობის ხელში ჩასაგდებათ არ არის დასაშვები, და კრებას ურჩევს შესაფერ რეზოლიუციას. ბოლშევიკების მხრით ლაპარაკობენ ამხ. ს. თოდრია, ბერგმანი და ახლად გაბოლშევიკებული ნ. ცერცვაძე. სამივენი ხოტბას ასხამენ პეტროგრადის პროლეტარიატის და გარნიზონის სეპარატიულ გამოსვლას და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას და მოუწოდებენ კრებას მიესალმონ ასეთ გამოსვლას და სავსებით მხარი დაუჭირონ მათ. ისინი ამბობენ, რომ რუსეთი დღეს გაყოფილია ორ მოპირდაპირე ბანაკათ. ერთ მხარეზე არის რევოლიუციონური დემოკრატია პროლეტარიატის მეთაურობით და მეორე მხარეზე კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია კადეტების მეთაურობით. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ რევოლიუციური დემოკრატიის დიდი ნაწილი მათ შეხედულობას არ იზიარებს, არა თუ რევ. დემოკრატია, პროლეტარიატის საგრძნობი ნაწილიც მათ ავანტიურის ანკესზე არ ეგება და გადაჭრით უარყოფს დღევანდელ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას, რასაც ძალით ახვევენ თავზე ბოლშევიკები დემოკრატიას. თფილისის შეგნებული პროლეტარიატი გრძნობს, რომ დღეს დღეობით სოციალიზმის განხორციელებაზე ფიქრი რუსეთში უტოპიაა და ამიტომ უარყოფს ბოლშევიკების დროს შეუფერებელ ლოზუნგებს. ეს მშვენივრათ დაამტკიცა ბეჭდვითი საქმის მუშათა კრებამ, რომელიც არ გაჰყვა ბოლშევიკების დემაგოგიურ ფრაზებს და მიიღო მენშევიკების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომლის შინაარსი მოკლეთ ასეთია: მოისმინა, რა კრებამ მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, დაადგინა: ბეჭდვითი საქმის მუშათა კრება უარყოფს ბოლშევიკების გამოსვლა იარაღით ჩაქრობილ იქნას, ამასთანავე მოითხოვს შესდგეს ერთფეროვანი დემოკრატიულ-კოალიციური სამინისტრო დაწყებული ბოლშევიკებიდან გათავებული სახალხო სოციალისტამდე, პირობით, რომ დანიშნულ დროზედ იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, აწარმოოს გაბედული პოლიტიკა დემოკრატიულ ზავის ჩამოსაგდებათ, მიწების გლეხთა კომიტეტების ხელში გადასვლის შესახებ და სხ. არ იქნას დაშვებული თფილისის ქუჩებში არავითარი შეიარაღებული გამოსვლა, დაზოლოს პროტესტს აცხადებს ბოლშევიკების უდროოთ გამოსვლის შესახებ, რასაც განხეთქილება შეაქვს რევ. დემოკრატიას შორის. ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა დიდი ხმის უმრავლესობით. ბოლშევიკების რეზოლიუციას ხმა მისცა 53 კაცმა.

შემდეგ კრებამ აირჩია 8 კაცისაგან შემდგარი საკანტროლო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალყურის დევნება ზედმეტ მუშაობის აღმოსაფხვრელათ. დანარჩენი საკითხები დროს უქონლობის გამო გადაიდო შემდეგი დროისთვის.

ხ. ცხემლისხიძე.

პასუხი გიორგი სურგულაძეს. „ერთობის“ № 189-ში მოთავსებულია გიორგი სურგულაძის წერილი, რომელიც თითქო პროფ. კავშირის (ბეჭვ. სიტ.) მუშათა ბედ-იღბლით იყოს დაინტერესებული; გაკვრით ეხება პრ. კავშირს და ნამდვილათ კი ჩემი პიროვნების ჩირქის მოცხება აქვს მიზნათ. იგი მკითხველს საქმის შინაარსს სრულიადაც არ აცნობს, აულია შემაცხონებულს და ორიოდე წინადადებით გამოუთქვამს თავისი გულის ზრახვა. ნამდვილათ კი მოპირდაპირის გინება. მეორე ამ ხრიკით აპირებთ, ბ-ნო გიორგი, ფონს გასვლას? რატომ დაწვრილებით არ აღწერთ, თუ რისთვის გამოვიწვიე თქვენი გულისწყრომა? არ გეძლევათ ხელს განა?!.

თუმცა ზედმეტათ მიმაჩნია თქვენთან კამათი, მაგრამ რაკი უნებლიეთ და სრულიად უბრალო მივიწყებით ჩადენილი საქმე თქვენ განგებ, განზრახ მოქმედებულათ მიგიღიათ —ამიტომ საქმის შინაარსს მოკლეთ ეხლა მე გავაცნობ მკითხველს, დეე, მან დაასკვნას მსაჯავარი, თუ ვინ „თავლითობს“ ჩვენ შორის.

აი, საქმის შინაარსი: ამ სამი-ოთხი დღის წინათ, საღამოს, როცა ამწყობნი მორჩენ მუშაობას და გაზეთის გვერდები იკვრებოდა, შემოვიდა ჩემთან (კორექტ. ოთახში) ამხ. უშ. ჯ—ში, რომელსაც თან მოყვა ბ-ნი სურგულაძე. მან (უშ. ჯ—შმა), როგორც პრ. კავშ. ფულის მომკრები, თავისი საქმე „ბლანკის“ წერა დაიწყო, რომელსაც ჩვენგან მიცემული ძველი პრ. კ. მოწმობაც იქვე მაგიდაზე ედო. სურგულაძე (რომელიც გამგეობის წევრი ბრძანებულა და მე ცოდვილმა კი არ ვიცოდი!) ჯაზს თავზე ადგა და რადგანაც ჩემზე აღელვებული კილოთი ლაპარაკობდა. მე თუმცა კორექ. (გვერდების შესწორება) მეჩქარებოდა, მაგრამ მაინც ჩემი ყურადღება მისმა (სურგ.) გაცხარებულმა კილომ მიიპყრო.

— რატომ არ გადიხადე, ჩვენ რო ვიხდით მდიდრები ვართ თუ?! ეხლა გაიგო, რომ ტარიფი გამოვიმუშავეთ და მოუნდა წევრობა, ფული შემოაქვს?!. და თან ბღლვინავს.

მე ცოტა ვაცადე და როცა კარგათ შესტოპა, კილოს უმატა, მივიხედე და მოვახსენე:

— შენი საქმე არაა, მე თუ რამე მაქვს გადასახადი, უშენოდაც მოვახერხებ, შენიშვნა შენგან მეტია-მეთქი.

ამ დროს უფრო აუწია ტონი. თვით ჩქარი „ტემპერამენტის“ გვამი გახლავთ და ჩემზე დიდს ის ყვიროდა; თუმცა მისი საყვედური მე სრულებით მეტად მეჩვენებოდა, მაგრამ პასუხის გაუცემლობა მოუხერხებელი იყო. და მეც ავყევი, მაგრამ ისეთი „შეუფერებელი“ სიტყვა, რომელიც მას არ შეხებოდა მე არაფერი იქ არ მითქვამ და, მაშასადამე, შენიშნა: „შეუფერებელი სიტყვით მიპასუხა“-ო სრულებით ზედმეტია. მაგალითად, როცა ის იქამდის გაკადნიერდა, რომ წამოიძახა:

— შენ ქუთაისში გაძვერი, რომ პრ. კავშ. ფულის გადახდა შეგერჩინა“-ო, მაშინ (ღვთის წინაშე) მეც „გავცეცხლდი“ და მოვახსენე:

— შენ რა უნდა გელაპარაკო „ყაზილარი“ ხარ-მეთქი!..

ეს იყო და ეს. სიტყვა „ყაზილარი“ მან მეტათ იწყინა და შემდეგ რაც დაროშა, ალლახმა უწყის.. მაგრამ მე ამეებს აღარ გამოუდგები ეხლა. ვიტყვი მხოლოდ მოკლეთ, რომ მართალია ჩემი დაუდევრობით (თუ თვით კავშ. მოლ. დაუდევრობით, რადგან არავინ გვაკითხავდა, გვაგონებდა) დარჩა ფული გადაუხდელი, რომელსაც აუცილებლათ გადავიხდი, მხოლოდ იმ ჯამაგირის პროცენტებს, რასაც წინათ ვიღებდი (ეხლა მომატებულია). ხოლო რაც კი შეეხება სურგულაძის ჭკუის დარიგებას—ეს მეტად მიმაჩნია.

ალ. რ—ძე.

თფილისის საქონლის სადგურის მუშები ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, იმ დროს, როდესაც სხვა დარგის მუშები სამას ოთხას მანეთამდე ღებულობენ—მაშინ, როდესაც ყველაფერი საზღაპროთ გაძვირდა, სწორეთ ამ დროს, ასეთი საშინელი კრიზისის დროს აქაური მუშები ღებულობენ თვიურათ 137 მანეთს. მუშებმა არა ერთხელ გამოსთქვეს აზრი ჯამაგირის მომატების შესახებ, მაგრამ მოწინავე პირების ახსნა-განმარტების შემდეგ ისინიც შეჩერდნენ, ვინაიდან აღუთქვეს მათ ცდა მოკლე დროში ჯამაგირების გადიდებაზე. განვლო დრომ და ეს იმედი და დაპირება მხოლოდ დაპირებათ დარჩა, არ არის არც ერთი მუშა, რომ უკმაყოფილო არ იყოს ასეთი მდგომარეობით. ამის გამო მოსალოდნელია მუშებმა ისეთი ნაბიჯი გადადგან, რასაც დღევანდელ პირობებში კარგი შედეგი არ მოჰყვება, ვინაიდან შიმშილს არ ესმის არც პრინციპი, არც იდეა. საზოგადოთ აქაური მუშები საერთო საქმეს თვალყურს ადევნებენ და თავისუფლებასაც დარაჯათ უდგანან, მუშებმა სადგური გასწმინდეს მავნე ელემენტებისაგან და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ თითო-ოროლა უზნეო პირებს. ჟურნალ-გაზეთების მხრით აქაური მუშები თითქმის ყველა დარგის მუშებზე მაღლა დგანან; ჟურნალ-გაზეთები მათში საკმაოდ ვრცელდება. ბევრი ამბობს, ვითომც მუშები კარგ პირობებში ცხოვრობდენ, მაგრამ ჩვენი მუშები ისევ იმ ცეცხლის ალში არიან გახვეულნი, რომელშიაც წინათ იყვნენ,—ისევ ძველ პირობებში მუშაობენ.

საშა ქრისტინეშვილი.

პროვინციის ცხოვრება

სართიჭალის რაიონი. 1905—6 წლებში ამ რაიონმა ქუნების სახელწოდება დაიმსახურა. სამწუხაროთ დღეს კი ხპარსეთის მიყრუებულ კუთხეთ ქცეულა. გლეხები ლამის გაველურდენ, ეხლა წმინდა ცხოველურ სიხარბეს შეუპყრია. არაფერი ცოდო-მადლი და დანაშაული არც შინაურის და არც გარეულის მათში არ არსებობს. ვინც ვის ჩაიგდებს ხელში, შეუბრალებლათ ჰკლავს. არც ერთ ფრონტის მახლობელ სოფლებში ისეთი სიძვირე არ იქნება, როგორც აქ. ამ რაიონში პური ზოგ სოფელში თუ არ მოვიდა, ზოგში იმდენია, რომ სამართლიანათ განაწილებულიყო ერთმანეთში, მაშინ ჩვენ გარედან შემოტანილი პური არ დაგვჭირდებოდა. ამ რაიონში სასურსათო კომიტეტები მხოლოდ გაგვიგია, თორემ ფერი და გემო იმისა არ გაგვიცდია. ხალხის უპირო ნაწილი ხსენებულ კომიტეტებს ცის მანანასავით მოელოდენ, მაგრამ ამაოთ. მხოლოდ შეგვატყობინეს: „თქვენ თავს თქვენვე მოუარეთ, შეადგინეთ ადგილობრივ სასურსათო კომიტეტები“-ო. მაგრამ ხალხი თვითმოქმედებას ჯერ არ არის მიჩვეული, მხოლოდ თუ სადმე თითო-ოროლა შეგნებული პირია, იმასაც არავინ უჯერებს. გლეხები არ ემორჩილებიან არც მთავრობის კანონს და არც ადგილობრივ კომიტეტის სავალდებულო დადგენილებას, რადგან ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება ახალი კანონით უნდა ხდებოდეს, მხოლოდ კულტურული გზით. ვინც დაჩვეულია მათრახით კანონის ცხოვრებაში გატარებას, ახალ კანონს დასცინიან. ამნაირმა განწყობილებამ გლეხებში წარმოშვა უსაშინლესი თვითნებობა საქონლის გაცვლა-გამოცვლაში და ვაჭრობაში. დაიწყო თავისუფლათ პურის ყიდვა-გაყიდვა. ჯერ კიდევ ივლისში პური კოდი სამ თუმნათ იშოვებოდა, დღეს კოდი თორმეტი თუმანი ფასობს. ერთიორ კვირაში ოც თუმანზე და მეტზედაც ავა. კიდევ კარგია, ვისაც საკმარი ფული აქვს. ასე რომ, თუ ქალაქი რუსეთიდან მოტანილი პურით გირ. 23 კ. იყიდება, სამაგიეროთ, სოფელს ადგილობრივ ნაყიდი პური გირვანქა უჯდება 1 მ. 20 კ. ასეთი მდგომარეობა ასე ადვილათ არ ჩატარდება განსაკუთრებით გაჭირვებას განიცდიან მასწავლებლები. დღევანდელი მათი ჯამაგირიდან უნდა კოდ პურში 200 მ. აძლიონ, რაიც ერთ თვეს ეყოფა და სხვას რომ თავი გავანებოთ, წყლის ფული აღარა რჩებათ. სოფელ გიორგ-წმინდის კომიტეტმა, სხვაფერივ რომ ვერაფერი მოუხერხა მასწავლებლებს, ადგა და ვისი ბავშვებიც სკოლაში სწავლობდენ და ვისაც პური აქვს, მათ დააკისრა მასწავლებლისთვის 8 ფუთი პური, ფუთი 10 მანეთად მიეყიდნათ, მაგრამ ზოგიერთმა მშობლებმა ბავშვები სკოლიდან გამოიყვანეს და მით აიცილეს თავიდან ერთი კოდი პურის „იაფათ“ გაყიდვა. კომიტეტი ეხვეწება გლეხებს მასწავლებლებს შეშა მოუტანეთო, მაგრამ ამაოთ! საწყალი მასწავლებელი დილის გლახაკსავით კარდაკარ, ეხვეწება ხალხს—გამომცხვარი პური მომყიდეთ, შეშა მომიყიდეთო, მაგრამ არავინ არ აძლევს. საზოგადოთ შინაურს მეტად უმალავენ—არა გვაქვსო, რადგან რეკვიზიციით, ძვირათ ვერ დაუფასებიათ. ხოლო თუ სხვა სოფლიდან მოვიდა ვინმე, იმას კი აძლევენ ზღაპრულ ფასებში. ნედლი, წყლიანი სიმინდი, რომელსაც გამხმობის შემდეგ უფრო ერთი მესამედი დააკლდება, ისიც კი რვა თუმანში იყიდება კოდი. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს, ვისაც ჯერ არს, თორემ დიდი უბედურება დატრიალდება.

ვ. კანჭარაშვილი.

შეცდომის გასწორება. ამ ერთი კვირის წინათ „ერთობა“-ში ცნობა იყო მოთავსებული, თითქოს სართიჭალის სოფლის კომისარი და მწერალი გადაყენებულიყო სამსახურიდან ბოროტმოქმედებისათვის. ნამდვილათ კი, გადააყენეს სოფ. ხაგარეჯის კომისარი და მწერალი.

ქ. თელავი. თელავის მცხოვრებლები შეგნებულათ და მშვიდათ შეხვდნენ ბოლშევიკების გამოსვლის ამბავს პეტროგრადში, თუმცა ყველა გრძნობს იმ განსაცდელს, რომელიც მოელოდა ამ გამოსვლით ჩვენ თავისუფლებას და რუსეთის დიდ რევოლიუციას.

27 ოქტ. მოხდა საგანგებო კრება თელავის მ. და ს. საბჭოსი, რათა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება პეტროგრადის ამბების შესახებ. კრებას დაესწრო საბჭოს თითქმის ყველა წევრი. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ანდრონიკაშვილმა განუმარტა დამსწრეთ ბოლშევიკების გამოსვლის მიერ შექმნილი მდგომარეობა. მისი აზრით ეს არის უპასუხისმგებლო პირების გამოსვლა, რომლებიც ასამარებენ რევოლიუციას თავისი მოქმედებით. საჭიროთ ჰხედავს, რომ მათ წინააღმდეგ მიღებული იყოს სასტიკი ზომები. ამხ. რაფიელ ჩიხლაძე არ ეთანხმება ამხ. ანდრონიკაშვილის აზრს, იგი ამბობს: „უპირველესი ჩვენი მიზანი დღევანდელ რევოლიუციონურ ხანაში არის ის, რომ მუშათა კლასი არ დარჩეს განცალკევებული და გამოთიშული სხვა რევოლიუციონურ კლასებიდან, რადგანაც ეს უქადის მას დამარცხებას და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის გამარჯვებას. ეს შეხედულება გვაფიქრებს ჩვენ, რომ ამ განსაცდელის წუთებში ჩვენ იარაღით არ უნდა შევებრძოლოთ ბოლშევიკებს, არამედ უნდა ვეცადოთ მშვიდობიან შეთანხმებას მათთან. გაიმართა კამათი ამ ორ მიმართულებათა შორის. წევრების დიდი უმრავლესობა იზიარებს ამხ. ჩიხლაძის აზრს. საბჭო ერთხმად (წინააღმდეგ ერთის, თავი შეიკავა ერთმა) ადგენს შემდეგს: დღევანდელ მომენტში ბოლშევიკების გამოსვლა შემცდარი ნაბიჯია, ამით შეიძლება ისარგებლოს კონტრ რევოლ. ბურჟუაზიამ და მუშათა კლასი დამარცხდეს; საჭიროა არის ბოლშევიკებთან მშვიდობიანი მორიგება, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას დროებითი მთავრობიდან ცენზიან ბურჟუაზიის წარმომადგენლები, დამფუძნებელი კრება მოწვეული უნდა იყოს დანიშნულ დროზედ.

ს. წ.

ნიგოითი (გურია). ნიგოითის სადგურიდან მოგზაურობა ყველაზე უფრო უძლება გარეშე საზოგადოების წევრთა შორის,—ამაღლების, აკეთის, და აგრეთვე ასკანის საზოგადოების ნაწილს; ვინაც ამ სადგურიდან სადმე გამგზავრებულა, ის ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდათ აქ ღამით დარჩენა და კერძო სამიკიტნოებში ცარიელ იატაკზე წოლა. ამას ზედ ერთოდა საჭმელ-სასმელის სიძვირე და ათას გვარი უხერხულობა. ამაღლების, აკეთის და თვით ნიგოითის კოოპერატივების გამგეობის წარმომადგენლებმა აქ გახსნეს კოოპერატიული სასადილო, აგრეთვე აქვე დაარსდა ამიერ კავკასიის განმანაწილებელი პუნქტი; კოოპერატიული სასადილო ერთი თვეა რაც გაიხსნა, თუმცა პირველ ხანებში ზარალიც ნახა, მაგრამ მომავალის იმედებით გამგეობა და თვით მოსამსახურენი გულს არ გაიტეხენ.

ახალი.

წერილი რედაქციის მიმართ

მე ვმსახურობდი თფილისის ქართულ ბათალიონში, ვიყავი კომიტეტის წევრი და იმავე დროს კომიტეტის საგანმანათლებლო სექციის თავმჯდომარე. ემუშაობდი რაც შეიძლებოდა პატიოსნად, მაგრამ ამხანაგთა ერთმა „ჯგუფმა“, რომლის რიცხვიც, მცირეა, ჩემს წინააღმდეგ ზოგიერთი ბრალდებები წამოაყენა. შესდგა გამომძიებელი კომისია, რომელშიაც შედიოდენ ამხ. ჯარისკაცები კოროშინიძე და კახალაშვილი, კომისიის აზრი გაიყო—მესამე ამხ. პრაპ. ნემსაძე სხვა აზრის იყო ჩემზე, ხოლო სხვა წევრები მე მამართლებდენ, ვინაიდან გამოძიებამ დაამტკიცა ჩემი სიმართლე, მაგრამ კომიტეტმა ამას ყურადღება არ მიაქცია და საქმის მსვლელობა მისცა. მე ვითხოვდი ჩემი საქმე მალე გაერჩიათ. განცხადება შევიტანე ბათალიონის კომიტეტში, რომ ხუთ დღეში გაერჩიათ საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ბრალს, რომელსაც უდანაშაულოდ მცხებდა მოწინააღმდეგე „ჯგუფი“ უნდა გაზეთში გამომეცხადებინა და საქვეყნოთ ვაღიარებდი ჩემ უდანაშაულობას. რადგან დღიდან განცხადებისა ბათალიონის კომიტეტისადმი უკვე ხუთი დღე გავიდა და არავითარი პასუხი არ გამცეს, მე, თანახმად ამხ. კოროშინიძის და კახალაშვილის გამოძიებისა, ჩემს თავს მართლად ვცნობ და დღიდან ყველა ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს ვაბათილებ თანახმად ჩემი განცხადებისა.

თფილისის ქართული პოლ. ის საგანმანათლებლო სექციის თავმჯდომარე პოდპორუჩიკი ალექსანდრე გორგაძე.

ცნობები

ჯარისკაცის შესახებ.

ჯარისკაცი ბესარიონ გლახუას ძე ნინუა მსახურობდა ქ. ხამლეშში მე-4 კავკასიის „პოგრანიჩნი“ პოლკში მომქმე დარში 3 როტაში. ორი წელი სრულდება მისი ამბავი არ იცის მისმა ცოლშვილმა და ხანდაზმულმა მშობლებმა. გთხოვთ ვინც იცის მას შესახებ რამე გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: თფილისი, დეპო, ვიქტორ ნინუა.

ვასილ ექვთიმეს ძე ლორია სცხოვრობდა ქალაქ ერევანში. ჯარში გაიწვიეს როგორც მეორე ხარისხის მოლაშქრე. ორი წელიწადი იქნება, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით, თუ ვინმემ რამე იცით, გეთაყვა გვაცნობოთ თფილისში ალექსანდროვის ქარხანაში ი. შანიძეს.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავათმყოფობანი და ავათმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა.
მიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
შაბათობით უფასოთ, ბებუთოვის ქ. 26.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
გ. ზაიკინა-შინკარევის
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღისით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

თფილისის საქონლის სადგურის
იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ,
რომელთაც ჟურნალ-გაზეთის ხელის-მოწ. ფული არ გადაუხდიათ ვაცხადებ, რომ ფული დაუყოვნებლივ შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სახელ და გვარს გაზეთში გამოვაქვეყნებ.
პატივისცემით ხ. ღ. ჩიგოგიძე.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

ექიმი
გ. ლონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი. ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმაძის ქუჩა, № 19.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ფრეილინსკის ქუჩა, № 4

ექიმი გ. გ. მუხაძე
იღებს სიფილიტიკით ავათმყოფთ საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვიჩიშვილისა. ტელეფონი № 5—77

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქვენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეჟლუმიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

სავალდებულო დადგენილება

გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა შემდეგი მტკიცე ფასები ყველზე ფუთობით:

შვეიცარული ფრანკო გასაგზავნ სადგურზე 60 მან. ფუთი.
ადგილობრივი „ „ „ 40 მან. „

ყველის ქარხნის პატრონები ვალდებული არიან, რაც მათ დამზადებული ყველი აქვთ გადასცენ გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომელიც იღებს თავის თავზე ყველის მცხოვრებთა შორის განაწილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველი მათ ჩამოერთმევათ დანიშნულ ფასების 15%-ით ნაკლებ. სამხედრო, სახაზინო და სხვ. ორგანიზაციებს და კერძო პირებს ეკრძალება ყველის ყიდვა გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში პასუხს აგებენ სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით, რომელიც იხჯება მომრიგებელ მოსამართლის მიერ დროებითი მთავრობის რედაქციით 17 მარტიდან 1917 წლისა.

რწმუნებული დანდუროვი.

მომხმარებელი საზ. „მოსავალი“
აუწყებს საზოგადოებას
პურის გასაყიდათ დუქნები გაიხსნა შემდეგ ადგილებში:
1 უბანში, ცხნეთის ქუჩაზე, ვორონცოვის უბანში, კაზბეგის ქუჩაზე. მე 7 უბანში, ღვინის აღმართში 32, ლაზრევის ქუჩა № 12. არხანგელის ქუჩა 3. კაზბეგოვის ქუჩა № 17. მე-9 უბანში კრონჩინის ქუჩა 37, ერთობის უბანში. მე-10 უბანში მიხაილოვის ქუჩა 96, შადინოვის მაღაზაში. მე-11 უბანში: ვლადიმიროვის ქუჩაზე, 1 ოკრაინის ქუჩაზე, ჩერქეზოვის ქუჩაზე, აფანასიევის ქუჩაზე, ლოტკინის ქუჩაზე. მე-12 უბანში ელისაბედის და ბათუმის ქუჩის კუთხეში. ღიაა დილის 7—12 საათამდე და 3—6 საათამდე. კანტორა მოთავსებულია მიხაილოვის და კრილოვის ქუჩის კუთხეებში ღიაა 9—3 და 6—8 საათამდე. 10 ნოემბრიდან ცხნეთის ქუჩაზე № 22, ვლადიმიროვის ქუჩაზე და ავლაბარში ღვინის აღმართზე 32. გაიმართება ზედმეტი სასწორი სადაც მხოლოდ წევრებზე გაიყიდება პური.
7—1 გამგეობა.

თფილისის ქართული პურის მცხობელ მუშათა
პროფესიონალურ კავშირს ჰყავს 600 უმუშევარი
პურის მცხობელი ხელოსანნი.
ვისაც დასჭირდება მუშები, მიაკითხოს კავშირს პეტრე დიდის ქუჩა სახლი № 18. მორიგეობს ყოველ დღე გამგეობის წევრი დილის 9—2 საათამდე. საღამ. 5—9 საათამდის.
3—2 გამგეობა.

სრომაფულ-მშენებლური სტამბა რუხაძისა გამგეთ შესახვევი № 1.